პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
31 აგვისტო
1941 წ.
№ 206 (6211)
ფასი 15 კაპ.

საქართველოს სსრ. სახ. ბიბლიოთეკა
7073
ქართველი ბიბლიოფილი

საბჭოთა მეომრის ოჯახი

საბჭოთა ხალხი ათასნაირად არის დაკავშირებული თავის მებრძოლებთან, რომლებიც იცავენ მის სიცოცხლეს, მის ღირსებასა და თავისუფლებას. ხალხისა და წითელი არმიის ეს კავშირი, მშვიდობიან დროსაც მტკიცე, განსაკუთრებით საგრძნობია ახლა, დიდი სამამულო ომის დღეებში. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ფრონტს უდიდესი რაოდენობით მისცეს მებრძოლთათვის განკუთვნილი საჩუქრები. ასეულათასობით საბჭოთა პატრიოტები მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს უგზავნიან წერილებს, სადაც ყოველი სტრიქონი გამსჭვალულია სიყვარულით წითელი არმიისადმი, რომელიც გმირულად ებრძვის ფაშისტურ ურდოებს.

არმიასთან ხალხის სისხლხორცეული კავშირის ერთერთი მტკიცე გამოხატულებაა საბჭოთა მეომრების ოჯახებისათვის ზრუნვა.

ომის პირველსავე დღეებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სპეციალური ბრძანებულებით დაადგინა ომიანობის დროს რიგითი და უმცროსი უფროსმადგენლობის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესი. ამ ბრძანებულების გამოქვეყნებისთანავე ადგილებზე შეიქმნა კომისიები, რომლებმაც დიდი მუშაობა გაიჩაღეს. საჭირო შემთხვევებში ერთდროულ დახმარებასაც უწევენ.

სახელმწიფო ამით არ კმაყოფილდება და ყოველ ზომას იღებს, რათა უკეთეს პირობებში ჰაყენოს არმიაში გაწვეულთა ბავშვები. საბავშვო ბაღებსა და ბაგებში დამატებით მიღებულია ათეულათასობით ბავშვები. ზოგ ადგილას შექმნილია პუნქტები რძის უფასოდ გასაცემად. ფრონტზე წასულთა ავადმყოფ და ღრმად მოხუცებულ წევრებს ინვალიდთა სახლებში ათავსებენ.

საბჭოთა საზოგადოებრიობას მეომართა ოჯახებისათვის ზრუნვა საყოველთაო - სახალხო საქმედ მიაჩნია. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია თვითონ, თავიანთი ინიციატივით, ეხმარებიან ჩვენი მებრძოლების ცოლებს, დედებსა და ბავშვებს, ყურადღებითა და პატივისცემით ეპყრობიან მათ. საჭირო დახმარებას უწევენ ბინების რემონტში, სათბობის დამზადებაში, სხვა სამეურნეო საქმეებში. დაუღალავმა პიონერებმა იკისრეს იმ ბავშვთა მეთვალყურეობის მადლიანი სამუშაო, რომელთა დედები წარმოებაში შევიდნენ. ბევრ ქალაქში ინდივიდუალური წესით გამოყოფილი არიან პარტიის წევრები, კომკავშირელები, აქტივისტები და მათ დაეკისრათ მუდმივი მზრუნველობა იმ ოჯახების საჭიროებისათვის, რომლებზედაც ისინი მიმაგრებული არიან.

ფართო მასშტაბით უწევენ დახმარებას წითელარმიელთა ცოლებს, რომლებმაც სამუშაოზე შესვლის სურვილი გამოსთქვეს. მოსკოვში მარტო სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებათა საშუალებით სამუშაო 4 ათასზე მეტმა ქალმა მიიღო. საბჭოთა მეომრების ათეულათასობით ცოლებსა და ქალიშვილებს, რომლებიც ფაბრიკებში, ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, ჰოსპიტლებსა და საავადმყოფოებში შევიდნენ, იქ მეგობრულად შეხვდნენ; ისინი წარმატებით ეუფლებიან ახალ პროფესიებს. წითელარმიელთა ოჯახების წევრებს ყველა პირობას უქმნიან მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის. განსაკუთრებული გულმოდგინეობით ასწავლიან მათ გამოცდილი ოსტატები. წითელარმიელთა ცოლებს, დებს, ოჯახის წევრებს, რომლებიც პირველად შევიდნენ წარმოებაში, სურთ თავდადებული შრომით უშუალო მონაწილეობა მიიღონ წითელი არმიის განმტკიცებაში და ამით დაეხმაროონ ფრონტზე მებრძოლ თავიანთ ქმრებსა და ძმებს რაც შეიძლება მალე მოუღონ ბოლო მტერს.

ჩვენი მამაცი დამცველები შეიძლება გულდამშვიდებული იყვნენ თავიანთი ოჯახებისათვის. მათზე მუდმივად ფიქრობს და ზრუნავს სახელმწიფო, მათ შეფობას უწევს მთელი ხალხი. საბჭოთა პატრიოტების სიყვარული თავისი თავდადებული მეომრებისადმი ამ უკანასკნელთა ოჯახებზეც ვრცელდება. ეს კარგად იციან ჩვენმა სახელოვანმა მებრძოლებმა, რომლებსაც თავისიანებისაგან მისდით წერილები. ეს წერილები აღსავსეა მადლობით საბჭოთა მთავრობისადმი, პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი ინ ჭეშმარიტად მამობრივი ზრუნველობისათვის, რასაც სამშობლო იჩენს თავის შეიარაღებულ დამცველთა ოჯახებისადმი.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიგონოთ ის მიწერ-მოწერა, რომელიც სწარმოებს ფაშისტ ჯარისკაცებსა და მათს ოჯახებს შორის. ამ წერილების ყოველ სიტყვაში გამოსჭვივის თავდაუზოგველი სასოწარკვეთილება, რომელიც მუდმივი გაჭირვებით არის გამოწვეული.

ფაშისტი მმართველები, რომელთათვისაც ასეულათასობით ადამიანის მოსპობა, მათ შორის გერმანიაშიც, ჩვეულებრივი პროფესია გახდა, ხალხს უკანასკნელ ძალღონეს აცლიან, ამასთან ანგარიშს არ უწევენ იმ ოჯახებსაც, რომლებსაც ომმა მარჩენლები წაართვა.

უნტერ-ოფიცერ ვენცელს დედა წერილს სწერს და სთხოვს—90 მარკა გამომიგზავნე, საიჯარო გადასახადი უნდა შევიტანო ბანკშიო. „თუ ეს თანხა არ შევიტანე, —სწერს დედაბერი, — ქონებას წამართმევენ... გადახდა მე არ შემიძლია, ვინაიდან შემოსავალი არა მაქვსო. რამდენიმე პფენინგი რომ დამრჩა, მალე შემომეხარჯებაო“.

ამ უპერსპექტივობითა და უიმედობით არის გაჟღენთილი გერმანელი ჯარისკაცებისათვის გაგზავნილი ყველა წერილი, მიუხედავად იმისა, რომ ფაშისტთა ბანაკში უსასტიკესი ცენზურაა შემოღებული.

ჩვენი საბჭოთა პატრიოტი ქალები, ჩვენი ღვიძლი დები ფრონტზე მიაცილებენ თავისიანებსა და მახლობლებს და ულმობელ მტერზე გამარჯვების მოლოდინში არიან. ისინი უზრუნველყოფილი არიან სახელმწიფოს მიერ, მათ ყურადღებას არ აკლებს ხალხი, ისინი დაუღალავად შრომობენ, მონაწილეობენ წითელი არმიის განმტკიცების საქმეში, თავიანთი წვლილი შეაქვთ თავდაცვის ფონდში. მათ იციან, რომ მათ გვერდით საწარმოში, დაწესებულებაში, საკოლმეურნეო სოფელში—მათი მეგობრები არიან, რომელნიც ყოველ წუთს დაეხმარებიან სიტყვით და საქმით. და მომავალი გამარჯვების ღრმა რწმენით გამსჭვალულნი, ისინი გამამხნევებელ წერილებს უგზავნიან ფრონტზე მყოფ თავიანთ ქმრებსა და ძმებს და მოუწოდებენ წყეული მტრის დაუნდობელი მოსპობისაკენ.

სიხარულის მღელვარებით, კანონიერი სიამაყით ეგებებიან ცოლები და დები, დედები და მამები თავიანთი ქმრების, ძმებისა და შვილების გმირობის ამბებს. საბჭოთა ხელისუფლებამ გამოზარდა ისინი, ასწავლა, ფეხზე დააყენა, მებრძოლს ზრდიდა ქვეყანა, ოჯახი. მებრძოლთა საგმირო საქმეებში დედები და მამები თავიანთი აღზრდის ნაყოფსაც ხედავენ. როდესაც სამშობლოს საფრთხე ემუქრება, ჩვენს ქვეყანაში არც არის და არც შეიძლება იყოს ისეთი კაცი, რომელიც არ გრძნობდეს პასუხისმგებლობას იმისათვის, თუ რით დამთავრდება საზიზღარი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ პასუხისმგებლობას იზიარებენ ჩვენი მებრძოლების ოჯახებიც, ვინაიდან მათ ისევე, როგორც მთელი მრავალმილიონიან საბჭოთა ხალხს შეგნებული აქვთ, რომ არ არსებობს ისეთი მსხვერპლი, რომელმაც შეიძლება შეაჩეროს საბჭოთა პატრიოტები მრისხანე ჟამს, როდესაც ჩვენს წმინდა მიწაზე სისხლიანი ტორი შემოსდგეს ჰიტლერელმა კაცისმკვლელებმა.

საბჭოთა ოჯახი პატრიოტთა ოჯახია. სადაც უნდა იყოს საბჭოთა ადამიანი—ფრონტზე თუ ზურგში,—იგი იბრძვის და შრომობს სამშობლოზე ფიქრით გამსჭვალული.

არ მოვაკლოთ ჩვენი სიყვარული და ზრუნვა საბჭოთა მებრძოლების ოჯახებს!

ადგილობრივი საბჭოები, კომკავშირი, პროფკავშირები, კოლმეურნეობათა გამგეობები მოვალენი არიან ყოველთვის იცოდნენ, ხომ არ აკლიათ რაიმე მებრძოლთა ოჯახებს, როგორ იზრდებიან მათი ბავშვები, უზრუნველყოფილი არიან თუ არა მოწაფეები სახელმძღვანელოებით, როგორ მუშაობენ საბავშვო ბაღები, მოედნები, ბაგები, ინვალიდთა სახლები. ჩვენი მებრძოლების ცოლები, მშობლები, შვილები ყოველ ნაბიჯზე უნდა გრძნობდნენ, რომ მათთვის ყოველთვის, ყოველ წუთს უზრუნველყოფილია დახმარება სახელმწიფოს და მთელი ხალხის მხრივ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მებრძოლთა იმ ოჯახებს, რომლებიც ევაკუირებული არიან მტრის მიერ დროებით დაკავებული რაიონებიდან. ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები მოვალენი არიან იზრუნონ იმისათვის, რომ ამ ოჯახებს მისცენ ბინა, შრომისუნარიანთ უშოვონ სამუშაო, ბავშვები სკოლებში მოაწყონ და სხვ.

ჩვენი დარდი ნუ ვიქნებათ! დასცხეთ ფაშისტებს! მედგრად დაიცავით დედა-სამშობლო!—ეს დამშვიდებული, მტკიცე სიტყვები, რომელებითაც საბჭოთა მებრძოლებს თავისიანები მიმართავენ, ახალ-ახალ ძალას ჰმატებს მათ, გაბედული საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებს, მოუწოდებს ბრძოლისაკენ, გადამწყვეტი ბრძოლისაკენ ფაშისტების სრულ, საბოლოო განადგურებამდე!

„პრავდის“ მოწინავე. 30/VIII.

საბჭოთა ჯარების წინსვლა ირანში

30 აგვისტოს საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს ზენჯანი, რეშტი, შაჰრუდი.

* * *

თავრიზი. წითელი არმიის ნაწილებს, რომლებიც ირანის ტერიტორიაზე მიიწევენ, მთელ გზაზე საბჭოთა საზღვრიდანვე ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებნი გულთბილად და ხალისიანად ხვდებიან. ადგილობრივ მოსახლეობასთან პირველმა შეხვედრებმავე ცხადჰყო, რომ ირანელმა მოსახლეობამ გაიგო და სწორად შეაფასა საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ერთობლივი მოქმედება. ბევრი ირანელი ყოველნაირად ცდილობს გამოხატოს თავისი სიმპატია წითელი არმიისა და საბჭოთა კავშირისადმი.

საბჭოთა მთავრობის ნოტა ირანის მთავრობისადმი ფართოდ ცნობილია ირანის მოსახლეობისათვის. სოფელ ჰამარლუში, წითელარმიელების შესახვედრად 300-მდე კაცი შეიკრიბა. მეგობრულ საუბარში სოფლის მცხოვრებნი გამოსთქვამდნენ თავიანთ მხურვალე სიმპატიებს წითელი არმიისა და საბჭოთა კავშირისადმი. სოფელ ქელაში ბავშვებმა მებრძოლებს ყურძენი გამოუტანეს. სოფელ ალუჯიჯის გლეხები ერთმანეთს ეცილებოდნენ წითელარმიელების სადილად მიპატიჟებაში. ყველანი სიძულვილით ლაპარაკობენ გერმანელებზე, მათს ცდაზე—ჩაეთრიათ ირანელი ხალხი ომში მეგობრული საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ. როგორც ფაპლავის ნავსადგურის კანტორის მოსამსახურემ განაცხადა, გერმანელებმა მთელ რიგ პუნქტებში შეჭამნეს ჯაშუშთა ბუდეები. ეფარებოდნენ რა სავაჭრო ფირმების მარკას, მათ იქ ბევრი იარაღი და ფეთქებადი ნივთიერებანი შეიტანეს. გერმანელები სავსებით აშკარად აგროვებდნენ სხვადასხვა ჯაშუშურ ცნობებს და განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ საბჭოთა კასპიის ფლოტისადმი. ბევრი სოფლის მცხოვრებნი მოგვითხრობენ: გერმანელთა აგენტები ირანში გლეხებს ეუბნებოდნენ, რომ გერმანიის ჯარებმა ვითომც უკვე ხელთ იგდეს ამიერკავკასიის მთელი რიგი ქალაქები. ამ უსირცხვილო სიცრუით ცდილობდნენ ისინი ირანელი ხალხის დაშინებას. მაგრამ ჩვენ,—აცხადებენ ბევრნი,—ყოველთვის აღტაცებით ვადევნებდით თვალყურს საბჭოთა კავშირის წარმატებებს და სანუკვარ იმედად გვქონდა, რომ წითელი არმია დაგვეხმარებოდა ფაშისტი დამრბევებისა და ავანტიურისტების ძაბრდი ძალაგავლენის წინააღმდეგ. არცერთ ჩვენგანს ეჭვი არ ეპარება, რომ საბჭოთა კავშირი, რომელსაც არასოდეს არ დაურღვევია თავისი ხელშეკრულებანი, ამჯერადაც შეასრულებს თავის ვალდებულებას — გაიყვანს ჯარებს ირანდან, როგორც კი გავლის ის საშიშროება, რომელიც შეჭქნა გერმანელი ფაშისტების მტრულმა საქმიანობამ ირანში.

ადგილობრივი მცხოვრებნი სტუმართმოყვრულად ხვდებიან წითელი არმიის ნაწილებს და ეხმარებიან მათ საბრძოლო დავალებათა შესრულებაში. მოხუცები და ჭაბუკები ხშირად გამყოლებად მიაცილებენ წითელი არმიის ნაწილებს უახლოეს დასახლებულ პუნქტებამდე. ქალაქებისა და სოფლების ასობით მცხოვრებნი სთავაზობენ ქვედანაყოფთა მეთაურებს სამსახურის გაწევას და ხელშეწყობას. წითელი არმიის მიერ დაკავებულ ყველა დასახლებულ პუნქტში დაუყოვნებლივ მყარდება ნორმალური ცხოვრება, იღება მაღაზიები, ვაჭრობენ ბაზრები.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

ინგლისის ჯარების წინსვლა ირანში

ლონდონი. რეიტერის სააგენტო სომლიდან გადმოსცემს ინგლისის სარდლობის კომუნიკეს, რომელშიც ნათქვამია, რომ ირანიდან მიღებული ცნობებით, ირანის ჯარებმა ყველგან შესწყვიტეს წინააღმდეგობა, და ინგლისის ჯარების მიერ ოკუპირებულ რაიონებში სწრაფად ხდება მდგომარეობის ნორმალიზაცია. მოსახლეობა მტრულ განწყობილებას არ იჩენს ინგლისის ჯარებისადმი. როგორც იუწყებიან, თეირანში სრული სიმშვიდეა და იქ მყოფ ინგლისელებს საფრთხე არ მოელის. 23 აგვისტოს ნაშუადღევს ინგლისის ჯარების სარდლობამ ქერმანშაჰში ირანის ჯარების სარდალთან თათბირის შედეგად მიაღწია დამაკმაყოფილებელ შეთანხმებას ირანის ჯარების გაყვანის შესახებ. ინგლისის ჯარებმა ახლა მიაღწიეს ქერმანშაჰს, სადაც ინგლისის ყველა ქვეშევრდომი საგანგებო უშიშარ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სამხრეთ სექტორში ინგლისის ჯარები ახლა სრულ კონტროლს უწევენ აჰვაზის და ჰანიჰელის რაიონს. სამხედრო-საზღვაო გემები, რომლებმაც 28 აგვისტოს მდინარე კარუნით ინგლისის ჯარები აიყვანეს აჰვაზში, ახლა უკან ბრუნდებიან საომარი მოქმედების შეწყვეტასთან დაკავშირებით. ინგლისის თვითმფრინავებმა ფურცლები ჩამოჰყარეს ტრანსირანის რკინიგზასა და ერაყის საზღვარს შორის მდებარე რაიონში. მდგომარეობა აღმოსავლეთ ირანში ინდოეთის საზღვრის გაყოლებით ნორმალური რჩება. მეშედიდან მიღებული ცნობებით, ირანის ხელისუფალნი თავაზიანად ეპყრობიან ინგლისის ქვეშევრდომებს.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

30 აგვისტოს დილის ცნობა

29 აგვისტოს ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ მედგარ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ მთელს ფრონტზე.

* * *

შავი ზღვის ფლოტის № წყალქვეშა ნავის მეთაურმა რუმინეთის ნაპირების მახლობლად ყოფნისას პერისკოპში შენიშნა მტრის წყალქვეშა ხომალდის კოშკი. მალე ფაშისტთა წყალქვეშა ნავი მთლიანად ამოვიდა ზედაპირზე. ეკიპაჟი, რომელიც საშიშროებას არსაიდან მოელოდა, ცისტერნების გამოქრევას შეუდგა. საბჭოთა წყალქვეშა ხომალდზე განგაშის სიგნალი გაისმა. ჩვენმა წყალქვეშელებმა დაუყოვნებლივ დაიკავეს თავიანთი ადგილი საბრძოლო მექანიზმებთან და სწრაფად მიიტანეს იერიში. მეთაურმა უბრძანა ესროლათ ტორპედი. ტორპედისტებმა ზემდეგმა ჩურკინმა და უფროსმა წითელფლოტელმა კრამიკმა პირველივე ტორპედი მოახვედრეს მიზანს. გაისმა გამაყრუებელი ფეთქების ხმა და ფაშისტთა წყალქვეშა ნავი ჩაიძირა. მამაცმა საბჭოთა წყალქვეშელებმა კიდევ მთელი რიგი საბრძოლო დავალებანი შეასრულეს რუმინეთის წყლებში და უვნებლად მოიყვანეს ბაზაში თავიანთი ხომალდი.

* * *

ჩვენმა საჰაერო დაზვერვამ 35 კილომეტრზე სოფელ დ-ს აღმოსავლეთით აღმოაჩინა გერმანელთა აეროდრომი. მტრის გასანადგურებლად გაფრინდა მაიორ ზასეკინის ავიაგამანადგურებელი. საბჭოთა ყუმბარმშენების პირველი რგოლი იმ მომენტში გამოჩნდა აეროდრომის თავზე, როდესაც მოედანზე სწარმოებდა მანქანებში საწვავის ჩასხმა და მოტორების გასინჯვა. როდესაც ჩვენი თვითმფრინავები შენიშნეს, ფაშისტებმა ამოქმედეს ყველა თავიანთი საცეცხლე საშუალებანი. ამ დროს ტყის იქიდან დაბლური ფრენით დაესხნენ თავს აეროდრომს საბჭოთა მოიერიშე თვითმფრინავები. ყუმბარმშენებთან ბრძოლით გართულ ფაშისტებს გამოეპარათ ჩვენი მოიერიშეების გამოჩენა. მეწინავე მანქანის მეთაურმა უფროსმა ლეიტენანტმა იზიუმოვმა პირველივე მოკლე წყებით ჩამოაგდო გერმანიის ერთი ავიაგამანადგურებელი, რომელიც ცდილობდა ჰაერში აფრენას. ორი სხვა ავიაგამანადგურებელი მოსპეს პოლიტხელმა სელივანოვმა და სერჟანტმა მამონოვმა. საბჭოთა მოიერიშე მანქანების ტალღა ტალღას მისდევდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ყველა საზენიტო დანადგარმა შეწყვიტა სროლა. ვეებერთელა მინდორში ფაშისტთა ალმოდებული „მესერშმიტები“ ეყარა. მოსპობილ იქნა აგრეთვე მტრის ორი თვითმფრინავი, რომლებიც აეროდრომის თავზე პატრულობდნენ. მათ გაუსწორდნენ მსროლელი-რადისტები ამხ. სინიუჩკოვი და ლებედევი. ფაშისტთა აეროდრომის განადგურება ყუმბარმშენებმა დააგვირგვინეს. ფუგასური და მსხვრევადი ყუმბარებით მათ დაანგრიეს აეროდრომის ყველა ნაგებობანი, საომარი მასალების საწყობი და საწვავით სავსე ცისტერნი. სულ აეროდრომზე მოსპობილ იქნა 28 „მესერშმიტი“.

* * *

კაპიტან ტრეგუბოვის ქვედანაყოფი ფხიზლად იცავს საომარი მასალებით დატვირთულ მატარებლებს. ამასწინათ ქვედანაყოფის მეომრებმა ტყვიამფრქვევისა და შაშხანის ცეცხლით ჩამოაგდეს მტრის მოპიკირე ყუმბარმშენი, რომელიც ცდილობდა ჯარის ეშელონისათვის ყუმბარების დაშენას. ჩამოგდებული თვითმფრინავის ეკიპაჟი წამოყვანილია ტყვედ.

* * *

ღამით ნ-ს სადგურზე ფაშისტური ავიაციის თავდასხმის დროს გამანადგურებელი ბატალიონის მეომრებმა ჩამოაგდეს გერმანიის ყუმბარმშენი „იუნკერსი — 88“. მტრის მანქანა ჩამოვარდა მინდორში სოფელ კ-ს მახლობლად. თვითმფრინავის ეკიპაჟი პარაშუტით დაეშვა. ფაშისტმა მფრინავებმა ისარგებლეს სიბნელით და მიიმალნენ. განთიადზე ფაშისტ საჰაერო მეკობრეთა საძებნელად გამოვიდა ახლომახლო სოფლების მთელი მოსახლეობა. მალე კოლმეურნე პარიენკომ შენიშნა, რომ ხშირი ჭვავი საეჭვოდ ირხეოდა. იგი მიიპარა და დაინახა ავტომატებით შეიარაღებული სამი ფაშისტი მფრინავი. ამხ. პარიენკოს სიგნალით კოლმეურნეებმა ალყა შემოარტყეს ფაშისტებს. გერმანელებმა სცადეს წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მალე დანებდნენ. კოლმეურნეებმა ისინი ჯარის უახლოეს ნაწილში მიიყვანეს.

* * *

პოლონეთისა და აღმოსავლეთ პრუსიის ქალაქები სავსეა დაჭრილი გერმანელი ჯარისკაცებით. სანიტარულ მატარებლებს განუწყვეტლივ მოჰყავთ დაჭრილთა ახალ-ახალი პარტიები. პოლონეთის ქალაქებში დობჟინში, ტორუნსა და ბიდგოშჩში გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჰოსპიტლებისათვის რეკვიზიცია უყვეს ყველა საავადმყოფოს, კერძო სამკურნალოებს, მრავალ სახლსა და სასკოლო შენობას. ჰოსპიტლებში, რომლებიც ნავარაუდევია 300-400 ადგილისათვის, ათას-ათასი დაჭრილი წევს. ასეთივე მდგომარეობაა აღმოსავლეთ პრუსიის ქალაქებში — კორშენში, ელბინგში, ცინტენსა და სხვა ქალაქებში. შექუჩებულობამ, სამედიცინო პერსონალისა და მედიკამენტების ნაკლებობამ ჰოსპიტლებში გამოიწვია სიკვდილიანობის მკვეთრად გადიდება. გერმანელმა ექიმმა ე. მერტინსმა, რომელიც ტყვედ ჩაგებარდა, დაკითხვის დროს განაცხადა: „აღმოსავლეთის ფრონტის გერმანიის სანიტარული სამსახურის ოფიციალური ცნობებით, პოლონეთისა და აღმოსავლეთ პრუსიის ჰოსპიტლებში კვდება დაჭრილთა 65 პროცენტი. ცნობებმა დაჭრილთა სიკვდილიანობის უდიდესი პროცენტის შესახებ უკვე მიაღწია ფრონტამდე. ბევრი გერმანელი ჯარისკაცი შეძრწუნებულია იმ პერსპექტივით, რომელიც მას მოელის: ან ფრონტზე დაღუპვა, ანდა ზურგში ჰოსპიტალში სიკვდილი“.

* * *

სწრაფი ტემპით იღებენ საბჭოთა მესელეები ახალ მოსავალს. კალინინის ოლქში კაშინოს, ბეჟეცკის, კრასნი ხოლმისა და ზუბცოვკის რაიონთა კოლმეურნეებმა წარმატებით დაამთავრეს სელის მოსავლის აღება. ემელიანოვის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელებში „ოქტიაბრში“, „კრასნი ოქტიაბრში“ და „კრასნაია ზვეზდაში“ მთელი სელის მოსავალი სამ დღეში აიღეს. ივანოვოს ოლქის პუჩეჟის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა დაამთავრეს სელის მოსავლის აღება და გაცხვა და შეუდგნენ მის დაფენას. 13 აგვისტოს სელის აღება დაამთავრა გორკის ოლქის ჩკალოვის რაიონის ყველა კოლმეურნეობამ. დიდ წარმატებას მიაღწიეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სელის ამღებმა მანქანებმა. კალინინის ოლქის ზუბცოვკის რაიონის კარამზინის მტს-ში სელის ამღებმა ამხ. სმოლიანოვმა 8 დღეში 135 ჰექტარი სელი აიღო. სარეკორდო გამომუშავებას მიაღწია გორიკის მტს-ის სელის ამღებმა ამხ. პოტაპოვმა. ნორმით გათვალისწინებული 4 ჰექტარის ნაცვლად, იგი ყოველდღიურად იღებს სელის მოსავალს 15 ჰექტარზე. შრომის მაღალი ნაყოფიერების ნიმუშებს იძლევიან კოლმეურნეები ხელით აღების დროსაც. კალინინის ოლქის კრასნი ხოლმის რაიონის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნე ლიდა პანოვა დღეში სამ ნორმას ასრულებს. გორკის ოლქის შარინის რაიონის კოლმეურნეობა „XIII ოკტიაბრის“ რგოლის ხელმძღვანელმა ამხ. ბელიანცევამ ერთ დღეში აიღო 1.008 ძნა. მან დავალება 330 პროცენტით შეასრულა. იაროსლავლის ოლქის მოწინავე კოლმეურნეობებმა დაიწყეს სახელმწიფოსათვის ახალი მოსავლის სელის თესლის ჩაბარება.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

30 აგვისტოს საღამოს ცნობა

30 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ მედგარ ბრძოლებს მტერთან მთელ ფრონტზე.

დაზუსტებული ცნობებით, 27 აგვისტოს განმავლობაში მოსპობილია გერმანიის არა 41 თვითმფრინავი, როგორც წინათ ვიუწყებოდით, არამედ 66 თვითმფრინავი.

არასრული ცნობებით, 28 აგვისტოს საჰაერო ბრძოლების დროს ჩამოგდებულია გერმანიის 29 თვითმფრინავი. ჩვენ 10 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

საბჭოთა მფრინავები, რომლებიც ლენინგრადის მისადგომებს იცავენ, კვლავ გამანადგურებლად ურტყამენ ფაშისტურ ავიაციას. 27 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა თვითმფრინავებმა მტრის 23 თვითმფრინავი მოსპეს. ამ დღეს ფაშისტთა ყუმბარმშენებმა, ავიაგამანადგურებლების თანხლებით, სცადეს თავს დასხმოდნენ ჩვენს აეროდრომს, მაგრამ მიწაზე ვერცერთ საბჭოთა თვითმფრინავს ვერ მოუსწრეს. ბრძოლა გაჩაღდა თვით აეროდრომის თავზე. ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა გაბედულად მიიტანეს იერიშები გერმანელებზე. ბატალიონის კომისარმა შელეგანოვმა ამ ბრძოლაში ჩამოაგდო ორი თვითმფრინავი „მესერშმიტ-109“. მესამე თვითმფრინავი ჩამოაგდო უფროსმა ლეიტენანტმა იაშინმა. წარმატებით აწარმოებდა საჰაერო ბრძოლებს მაიორ რადჩენკოს ქვედანაყოფი. პ-ს რაიონში, მოქმედებდნენ რა მტრის ყუმბარმშენთა დიდი ჯგუფის წინააღმდეგ, ამ ქვედანაყოფის მფრინავებმა ლეიტენანტებმა კუზნეცოვმა და ჟიგულინმა ჩამოაგდეს თითო თვითმფრინავი „იუნკერსი“. თავგანწირულად ებრძოდა მტერს ლეიტენანტ დოროფეევის რგოლი. მფრინავებმა ლეიტენანტებმა ლაზარევმა და კოსარენკომ იერიში მიიტანეს თვითმფრინავ „ჰაინკელზე“ და ცეცხლი წაუკიდეს მას. ამის შემდეგ ლეიტენანტი ლაზარევი შეებრძოლა თვითმფრინავ „იუნკერსს“ და ჩამოაგდო იგი. 27 აგვისტოს საბჭოთა მფრინავებმა მთელი რიგი დარტყმები მოახდინეს მტრის აეროდრომებზე. კაპიტანმა ზვერევმა და უმცროსმა ლეიტენანტმა შელეკოვმა მოსპეს 2 თვითმფრინავი „მესერშმიტი“ აეროდრომიდან აფრენის ცდის დროს. ზვერევის და შელეკოვის შემდეგ მისულმა ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა ცეცხლი წაუკიდეს კიდევ 4 „მესერშმიტს“ და ერთი ჩამოაგდეს აფრენის ცდის დროს. საბჭოთა მფრინავების მეორე ჯგუფმა იერიში მიიტანა მტრის აეროდრომზე, რომელზეც 7 „მესერშმიტი“ იყო. აეროდრომის თავზე პატრულობს ეწეოდა გერმანიის 3 თვითმფრინავი. ფაშისტთა პატრული საბჭოთა ავიაგამანადგურებლების პირველი იერიშის შემდეგ ღრუბლებში მიიმალა და თავისი აეროდრომი დაუფარავად დასტოვა. ჩვენმა მფრინავებმა მიწაზე დასწვეს მტრის 5 თვითმფრინავი.

* * *

სოფელ კ-ს მახლობლად ფრონტის დასავლეთის მიმართულებით ჩვენმა ბატალიონმა იერიში მიიტანა გერმანელთა ქვეითა ნაწილზე, რომელიც გაძლიერებული იყო არტილერიითა და ნაღმმტყორცნებით. ბრძოლის ველზე დარჩა 300-მდე მოკლული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. საბჭოთა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 5 ქვემეხი, 4 ნაღმმტყორცნი, 5 ტყვიამფრქვევი და ბევრი საომარი მასალა.

* * *

უფროს ლეიტენანტ კალინიჩენკოს მეზენიტეთა ქვედანაყოფმა უკანასკნელ 11 დღეში გერმანიის 24 თვითმფრინავი ჩამოაგდო.

* * *

ჩრდილოეთის ფრონტის ერთერთ უბანზე პოლკოვნიკ კალაშნიკოვის ნაწილი შეტევაზე გადავიდა. მტრის დევნისას, ნაწილის მებრძოლებმა ხელთ იგდეს ტანკი, 2 ქვემეხი, 5 ტყვიამფრქვევი, ტრაქტორი, ბევრი შაშხანა, რამდენიმე ასეული საარტილერიო ჭურვი და 5 ათასი ვაზნა.

* * *

წითელფლოტელი ნეჩაევი გვიან ღამით დაბრუნდა დაზვერვიდან მნიშვნელოვანი ცნობებით, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა გადასცემოდა ნაპირიდან ოთხ კილომეტრზე მდგომ ხომალდებს. ნაპირზე ნავი არ აღმოჩნდა. მაშინ ამხ. ნეჩაევმა ცურვით მიაღწია ხომალდებამდე. მზვერავის მიერ მიტანილმა მნიშვნელოვანმა ცნობებმა ხელი შეუწყო ხომალდების სარდლობას საბრძოლო დავალების შესრულებაში.

* * *

უკრაინელი პარტიზანები ყოველ შესაძლებლობას იყენებენ იმისათვის, რომ საგრძნობი ზიანი მიაყენონ გერმანელ ფაშისტთა ჯარებს. პარტიზანთა რაზმმა, რომელიც ციტომირის ოლქის ჩორნაია რუდნას რაიონში მოქმედებს, ტყვიამფრქვევის ცეცხლით ჩამოაგდო ფაშისტთა 3 სატრანსპორტო თვითმფრინავი „იუნკერს-52“ და მოსპო გერმანელთა 30 ავტომანქანა.

პარტიზანთა რაზმმა, რომელსაც რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. მეთაუერობს, ამ ბოლო დროს გერმანელთა 200-მდე ავტომანქანა და 50 ფაშისტი მოტოციკლისტი მოსპო. ყველა მოტოციკლი ხელთ იგდეს პარტიზანებმა. რაზმი განუწყვეტლივ იზრდება და იარაღობა იმ იარაღით, რომელსაც გერმანელებს ართმევს.

ქალაქ ვ-ს გარეუბნებში პარტიზანთა რაზმმა, რომელსაც აგრონომი სენცოვი მეთაურობს, გერმანელთა საომარი მასალების დიდი საწყობი მოსპო. საწყობის ტერიტორიაზე პარტიზანები ღამე შეიპარნენ. შიდა საგუშაგოთა გუშაგები სწრაფად და უხმაუროდ მოსპეს. პარტიზანებმა გასტეხეს საწყობის კარები და ვაზნებითა და ხელყუმბარებით დატვირთეს ეზოში მდგომი გერმანელთა სატვირთო ავტომანქანები. შემდეგ ერთერთი მთავარი საწყობი დანაღმეს. როდესაც ყველაფერი მზად იყო, პარტიზანებმა საომარი მასალებით დატვირთული ავტომანქანები ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრზე გაიყვანეს. ამ დროს რაზმის უფროსმა, რომელიც პარტიზანთა ჯგუფთან ერთად დარჩა, ცეცხლი წაუკიდა ბიკფორდის ზონარს. გაისმა უძლიერესი აფეთქება. უზარმაზარი ალი მ

1 სექტემბერს სასწავლო წელი იწყება

საუბარი რუსეთის სფსრ განათლების სახალხო კომისართან ამხ. პოტიომკინთან

1941-42 ახალ სასწავლო წელს ჩვენი ქვეყნის მილიონობით მოსწავლენი დიადი სამამულო ომის რთულ ვითარებაში იწყებენ. ამის მიუხედავად, რუსეთის სფსრ დაწყებითსა და საშუალო სკოლებში მეცადინეობა 1 სექტემბერს იწყება ისევე, როგორც წინა წლებში. სასკოლო ასაკის ყველა ბავშვთათვის უზრუნველყოფილია სწავლის შესაძლებლობა. რესპუბლიკაში სწავლას იწყებს 20-მდე მილიონი ბავშვი.

ზაფხულის თვეებში სკოლას უძვირფასესი დახმარება გაუწია ფრონთო საბჭოთა საზოგადოებრივობამ. ყოველ მხარეში, ოლქსა და რესპუბლიკაში იკრიბება და აგვისტოში მოეწყო სპეციალური „სკოლის დღეები“. ათიათასობით მშობელი, მასწავლებელი, თვით მოსწავლენი ეწეოდნენ სასკოლო შენობების შეკეთებას, ამარაგებდნენ სათბობს.

ახალ სასწავლო წელს სკოლები მიიღებენ 40 მილიონზე მეტ ახალ სახელმძღვანელოს, ასობით მილიონ რვეულს, საჭირო სასკოლო ნივთებს. მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეთათვის პირველად გამოიღის ახალი და უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოები. ზედმეტია იმის განმარტება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ექნება ამ წიგნებს საისტორიო განათლების დონის ასამაღლებლად არა მარტო სკოლაში, არამედ მთელს ჩვენს ქვეყანაშიც. ამ სახელმძღვანელოებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ იმ ისტორიული მოვლენების სწორი შეფასებისათვის, რომლებიც ამჟამად ხდება საერთაშორისო სარბიელზე.

სკოლები ნაკლებობას არ იგრძნობენ პედაგოგიური კადრების მხრივ. სკოლებში სამუშაოდ მოვა 80 ათასამდე ახალი მასწავლებელი, რომლებმაც წელს დაამთავრეს უნივერსიტეტი და პედაგოგიური უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები.

ახალ სასწავლო წელს დიდი ყურადღება დაეთმობა მოსწავლეთა სამხედრო - ფიზკულტურულ მომზადებას. სამხედრო-ფიზკულტურული მეცადინეობის საათების რიცხვი მომატებული იქნება მე-8, მე-9 და მე-10 კლასში, ძირეულად იცვლება მეცადინეობის შინაარსი ამ დისციპლინებში. მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ დაბრკოლებათა გადალახვა, იარაღის ხმარება, ხელყუმბარის ტყორცნა, მდინარის გაცურვა, ხელჩართული ბრძოლა და სხვა მისთანა. ქალიშვილები დაჭრილთათვის პირველი დახმარების გაწევის ჩვევებს მიიღებენ.

ყოველი პედაგოგის ამოცანაა ჩაუნერგოს მოწაფეებს საბჭოთა ადამიანის ისეთი თვისებანი, როგორც არის გმირობა, თავდადება, სიკვდილის უშიშრობა, მზადყოფნა იმისათვის, რომ უკანასკნელ სისხლსწვეთამდე ებრძოლოს სამშობლოს მტრებს. სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა უცხო ენების შესწავლას. ფიზიკის, გეოგრაფიის, ქიმიის, მათემატიკის სწავლება ახალ სასწავლო წელს უშუალოდ დაუკავშირდება მოწაფეთა სამხედრო მომზადებას.

საბჭოთა მასწავლებლობა და ჩვენი მოსწავლეობის მრავალრიცხოვანი არმია, განათლების ყველა მუშაკი ორგანიზებულად შეეგება ახალ სასწავლო წელს და შეასრულებენ თავიანთ პატრიოტულ მოვალეობას სამშობლოს წინაშე. (საკ.ესი).

ახალი სასწავლო წელი

მიმდინარე სასწავლო წელი განსაკუთრებულ პირობებში იწყება: დიადი საბჭოთა ხალხი დიდ სამამულო ომს აწარმოებს ვერაგ მტერთან — გერმანიის ფაშიზმთან. მიუხედავად ომიანობის პირობებისა, საქართველოს სკოლები მომზადებული ხვდებიან სასწავლო წელს. შეკეთებულია სასკოლო შენობები, მოწყობილია კაბინეტ-ლაბორატორიები, ახალი წიგნებით გამდიდრდა სასკოლო ბიბლიოთეკები, საჭირო რაოდენობით დაიბეჭდა სახელმძღვანელოები, სკოლებმა მიიღეს მაღალკვალიფიციურ მასწავლებელთა ახალი კადრები და სხვ.

ომის პირობები როგორც მასწავლებლებისაგან, ისე მოსწავლეებისაგან მოითხოვს მუშაობის გარდაქმნას არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

იმ სკოლებში, სადაც ორ-სამცვლიანი სწავლა იქნება, აუცილებელია ზუსტად იქნას დაცული სასწავლო რეჟიმი (გაკვეთილების ცხრილი, გაკვეთილებისა და დასვენების ხანგრძლივობა), რაც ხელს შეუწყობს სწავლის ნორმალურ მსვლელობას. განსაკუთრებით უნდა განმტკიცდეს მოსწავლეთა დისციპლინა და პასუხისმგებლობა. ამთავითვე უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ მოსწავლემ არც ერთი დღე და გაკვეთილი არ გააცდინოს უმიზეზოდ.

ამჟამად მთელი საბჭოთა ხალხი ძალონის უდიდესი დაძაბვით ებრძვის პირსისხლიან ფაშიზმს. ოჯახის უფროსი წევრები ზოგი წითელ არმიაში, ზოგი კი საწარმო-დაწესებულებასა და კოლმეურნეობაში მუშაობს. ამ პირობებში სკოლამ ისე უნდა გარდაქმნას მუშაობა, რომ უფროსების ზოგჯერ ყურადღებასა და ზრუნვას მოკლებული ბავშვები მუდმივად სკოლის გავლენის ქვეშ იყვნენ. ამ საქმეში სკოლას დიდი დახმარება უნდა გაუწიონ კომკავშირულმა და პიონერულმა ორგანიზაციებმა. პიონერრაზმებმა თვალყური უნდა ადევნონ მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებას და თვითეული მათგანი ჩააბან საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში. ამისათვის მათ უნდა გამოიყენონ პიონერული მუშაობის მრავალფეროვანი და საინტერესო ფორმები.

გერმანიის ფაშიზმთან საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი ჩვენგან მოითხოვს კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ მოსწავლეთა სამხედრო-ფიზიკური მომზადების საქმეს. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს მითითებით საშუალო სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეთა სამხედრო -ფიზიკური მომზადებისათვის გადიდებულია სასწავლო საათების რაოდენობა. ეს ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიება ეფექტიურად უნდა იქნას გამოყენებული. მშობლიურ წითელ არმიას უნდა მივცეთ ისეთი შევსება, რომელიც ღირსეულად დაიცავს მის გმირულ და სახელოვან ტრადიციებს. არა ერთი და ორი მაგალითია იმისა, რომ სამხედრო-თავდაცვითს საქმეს შესანიშნავად დაუფლებული, სკოლადამთავრებული და სკოლაში მყოფი ახალგაზრდები განსაცვიფრებელი სიმამაცითა და თავდადებით იცავენ დედა-სამშობლოს. ამიტომ ამჟამად მოსწავლეთა სამხედრო-ფიზიკურმა მომზადებამ სკოლის მუშაობაში ერთერთი ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავოს.

მიმდინარე დიდი სამამულო ომი უდიდეს ხარჯებს მოითხოვს ჩვენი ქვეყნისაგან. სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს, სკოლების ხელმძღვანელებს, მასწავლებლებს და მოსწავლეებს ფართო თვითმოქმედებითი მუშაობით შეუძლიათ მთელი რიგი სამუშაოები, როგორიც არის ზამთრისათვის შეშის მომარაგება, სასკოლო ინვენტარისა და ხელსაწყოების მიმდინარე შეკეთება, სიუფთავის დაცვა და სხვ. თვითონ შეასრულონ.

სკოლის მუშაკებმა და მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ არსებული მდგომარეობის მთელი სერიოზულობის გათვალისწინებით და წარმატებით გადასჭრან სოციალისტური სამშობლოს მიერ მათ წინაშე დასმული ყველა ამოცანა.

სამამულო ომის ფრონტებზე

მაიორ ბ. ზუმბულიძის წერილი

ბოლი („კომუნისტის“ კორ.). აქ, ოსტროვსკის ქუჩაზე № 28 სახლში ცხოვრობს 72 წლის ნატო ზუმბულიძე. გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით მან სასიხარულო ამბავი გაიგო: მისი შვილი, მფრინავი, მაიორი ბაგრატ ზაქარიას-ძე ზუმბულიძე ფაშიზმთან მამაცურად ბრძოლისათვის მთავრობამ წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვა. ნატო თავისი პირმშოს შესახებ მოგვითხრობს:

... ბაგრატი 1907 წელს შემეძინა... სწავლობდა გორის მეოთხე შრომის სკოლაში, რომელიც მამის სიკვდილის გამო არ დაუმთავრებია. ბაგრატი 17 წლამდე გავზარდე, მერე წითელმა არმიამ დაავაჟკაცა. მიხარია რომ მამაცობით მაღალი ჯილდო დაიმსახურა. აი რა მომწერა ჩემმა შვილმა — მოხუცი გვაძლევს წერილს, რომელშიაც სწერია:

„ძვირფასო დედა! ძლიერ კარგად ვარ. უმძიმეს წუთებშიც არ გივიწყებ. გერმანელი მოიერიშეები ჩვენი სამშობლოს, მთელი კაცობრიობის მტრები არიან, რომლებსაც მალე დავასამარებთ. ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან წინ მიგვიძღვის დიდი სტალინი, გვყავს ძლიერი წითელი არმია, წითელი ფლოტი, წითელი ავიაცია. ჩვენ ყველაზე ძლიერი ვართ და ვიქნებით. შენი ბაგრატი. 9 აგვისტო, 1941 წელი“.

ამის საპასუხოდ, — ამბობს ნატო ზუმბულიძე, — მე მსურს „კომუნისტის“ საშუალებით ჩემს შვილს გავუგზავნო შემდეგი განაწესი:

„საყვარელო შვილო ბაგრატ! გავიგე, რომ დაგაჯილდოვეს. ამ ამბავმა ძლიერ გაახარა ჩემი მოხუცი გული. მე, შვილო ისე, როგორც შენ, მძულს წყეული ფაშისტები. ჩემო ვაჟკაცო, ებრძოლე მტერს და მოსპე იგი. გამარჯვებული დამიბრუნდი შინ. ვამთავრებ ჩემო საყვარელო შვილო. როგორ მიხარია, რომ შენ სამშობლოს სტალინური შევარდენი ხარ. გეხვევი და კოცნი... დედა ნატო“.

ს. ჟურაშვილი

კავშირგაბმულობის ცალკე ბატალიონის მებრძოლები

მოქმედი არმია, 28 აგვისტო. ბრძოლა რკინიგზის ყირიმის გასწვრივ მიმდინარეობდა. პოლკოვნიკი გორშკოვი ცხენით მოიჭრა, რათა ერთერთი პოლკი საიერიშოდ განეწყო. მაღლობიდან გარკვეულად სჩანდა, თუ როგორ დაჯგუფდნენ გერმანელები პოლკის მიერ დაკავებული მიჯნის პირდაპირ.

— ახლა რომ მათ ფლანგში დავარტყათ! — გაიფიქრა პოლკოვნიკმა.

— დამაკავშირეთ ჟდანოვის პოლკთან! — ბრძანა მან, როცა მოაგონდა, რომ სულ ორ კილომეტრზე მაგარი ძალა იყო იერიშის მისატანად.

მეკავშირე ამაოდ აჭერდა ხელს ზუმერს, რომ მეზობელი პოლკი გამოეწვია. პასუხი არ იყო.

— ხაზი დაზიანებულია, — მოახსენა მეკავშირემ.

— კავშირგაბმულობის ბატალიონის მეთაურს — დანიშნეთ მებრძოლი და სასწრაფოდ ჩააბარეთ ბრძანება მაიორ ჟდანოვს.

რამდენიმე წუთის შემდეგ მეთაურის წინაშე იდგა ჯმუხი, სახე გარუჯული წითელარმიელი. პოლკოვნიკმა კმაყოფილებით შენიშნა, რომ ჩაჩქნიდან მტკიცე ნებისყოფის გამომეტყველი თვალები ელვარებდნენ. მებრძოლმა ბრძანება მიიღო, მარჯვედ მოახტა ცხენს და ჭენებით გაქანდა.

პოლკოვნიკი აღელვებით ადევნებდა თვალს მხედარს. პირველ რამდენიმე წამს მებრძოლი ცეცხლის არეს გარეშე იყო. აი იგი სასოფლო გზაზე გაიჭრა, რომელიც თვით რკინიგზის ყირიმის გასწვრივ მიდიოდა. ახლა იგი გერმანელ მეტყვიამფრქვევთა ცეცხლქვეშ იყო მოქცეული.

განელო გულის გამწვრილებელმა ნახევარმა საათმა. მიიტანა თუ არა მეკავშირემ ბრძანება? მაგრამ აი გაისმა მძლავრი „ურა“. მაიორ ჟდანოვის პოლკმა ფლანგში დაარტყა მტერს. მტრის დაჯგუფება უკუიქცა.

ბრძოლა ცხრებოდა. საკომანდო პუნქტმა წინ წაიწია და გერმანელების მიერ დაკავებულ ბლინდაჟში განლაგდა. აქ მეთაურთან მოვიდა მებრძოლი, რომელიც სულ მთლად მტვერში იყო ამოგანგლული და ძლივს სუნთქავდა:

— ამხანაგო პოლკოვნიკო, — ჩაჩქანზე ხელის მიდებით მიესალმა და უპატაკა მან, — თქვენი ბრძანება შესრულებულია. პატაკი ჩავაბარე მაიორ ჟდანოვს. მებრძოლი მაშჩენკო.

— ვხედავ, რომ ჩაგიბარებია, ბრძოლის შედეგით ვხედავ, — უპასუხა მეთაურმა, გადაეხვია წითელარმიელს და გადაკოცნა. — ჩვენი ჯარის ნაწილს შეუძლია იამაყოს თქვენი გმირობით.

მეკავშირე კოროლიოვი მავთულს ჭიმავდა ბატალიონის განლაგებისაკენ. დავალება სასწრაფო იყო, მაგრამ მებრძოლის სამწუხაროდ ნაპურალს, რომელზედაც იგი მიდიოდა, განუწყვეტლივ ესროდა გერმანელი მეავტომატე, რომელიც განზე, ტყეში ჩამჯდარიყო. სროლის გამო მეკავშირე იძულებული იყო შეეჩერებინა მუშაობა, დამალულიყო, გამოეცვალა სვლის მიმართულება. იგი სულ ოფლში იყო გაწურული, მაგრამ მაინც დანიშნულ დროზე დაამყარა კავშირი ბატალიონთან.

დაბრუნებისას კოროლიოვმა გადასწყვიტა მოეძებნა ტყეში მეავტომატე. ბნელი ღამის მიუხედავად, მებრძოლმა მოსძებნა და მოსპო ფაშისტთა „გუგული“. ქვედანაყოფში კოროლიოვმა მიიტანა მოკლე ტყვიამფრქვევი და დამბაჩა, ეს იყო მტერთან ღამით გამართული ორთა ბრძოლის ნადავლი.



მოქმედი არმია. გერმანელთა ნაღმტყორცნი, რომელიც მიატოვეს გერმანელებმა ნ-სთან უკანდახევისას.
ფოტო ი. ოზერსკისა (საკ.ესის ფოტოქრონიკა).

მეკავშირეები ფხიზელნი და ფრთხილნი არიან. მათ შეისწავლეს ტაქტიკა მტრისა, რომელიც ზურგიდან მოგვივლის ხოლმე, ცდილობს ჩაერთოს სადენში, დაუგდოს ყური ჩვენს ლაპარაკს, დაარღვიოს კავშირი. მეკავშირენი მთელი დღე-ღამის განმავლობაში, განსაკუთრებით ღამით, ფხიზლობენ და მზად არიან მტრის დასახვედრად.

სოფელ გ-ს მახლობლად, სადაც ბრძოლა იყო, მეკავშირე ფარდილოვი ხაზს ამოწმებდა. უეცრად მავთულთან თვალი მოჰკრა წითელარმიელის ფორმით გამოწყობილ ორ კაცს. როდესაც მებრძოლი მიუახლოვდა, ამ სამხედროებმა გაქცევა სცადეს.

— შესდექ! — მიაძახა ფარდილოვმა.

ამის საპასუხოდ ერთერთმა უცნობმა რაღაც წამოიძახა გერმანულად. გვერდით ბუჩქები იყო, საიდანაც სროლა გაისმა. ფარდილოვმა მყისვე დაუშინა ცეცხლი გაქცეულთ და მიაწვინა ისინი. შემდეგ მეკავშირე მივარდა ბუჩქებთან, სადაც გერმანელი ჯარისკაცის რუხმა მუნდირმა გაიელვა. მებრძოლმა კონდახი ჩასცხო გერმანელს და წაიკვნა.

კავშირგაბმულობის ხაზი დაცულ იქნა დივერსანტებისაგან.

კავშირგაბმულობის შეუფერხებლობისათვის ბრძოლა არის ომის წარმატებისათვის, გამარჯვებისათვის ბრძოლა. № მსროლელთა დივიზიის კავშირგაბმულობის ცალკე ბატალიონის ყველა მეკავშირე ამ პრინციპით არის აღზრდილი.

საკდესის სპეკკორები: უფროსი პოლიტხელი ხოდაკოვი, უფროსი ლეიტენანტი ლიპავსკი.

წერილი შვილისადმი

ვასილ ვოდოპიანოვმა — საბჭოთა კავშირის გმირის შვილმა—საფრენოსნო სკოლა დაამთავრა და სხვა ახალგაზრდა ავიატორებთან ერთად ამჟამად საბრძოლო თვითმფრინავს ღებულობს. ამხ. მ. ვ. ვოდოპიანოვმა წერილი მისწერა თავის შვილს, № ნაწილში.

ჩემო ძვირფასო ვასია!

მაშ ასე, ჩემი შვილი მფრინავია. შენს ხელებს თვითმფრინავის საჭე დაემორჩილა, შენი სტიქიონი ჰაერი ხდება. ათასობით ახალგაზრდა პილოტებთან ერთად შენ გაბედულად და ამაყად ‘მდინარ ფრთოსან სტალინელ შევარდენთა ოჯახში, და მალე, გადახვალ რა გამანადგურებელზე ან ყუმბარმშენზე, დიდი სამამულო ომის მებრძოლი მფრინავი იქნები.

შენთან ერთად, მრავალ ათას სხვა საბჭოთა მამაც მფრინავებს შორის, ჩვენ უშიშრად ჩავცემთ მტერს გამანადგურებელ ღახვარს, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვიბრძოლებთ ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის, ჩვენი ხალხის ბედნიერებისათვის.

მე ვიცი, რომ შენ, ისევე როგორც მე, საშინლად გძულს ჰიტლერელი ჯალათები და მკვლელები. შენ იზრდებოდი ბედნიერ და მზიურ ხანაში, შენთვის უცნობია გაჭირვება, მწუხარება და სევდა. და შენ ვერავინ და ვერასოდეს ვერ წაგართმევს ამ ბედნიერებას. აღფრთოვანებული უსაზღვრო სიყვარულით დედა-სამშობლისადმი, რომელმაც მზრუნველობით აღგვზარდა ჩვენ, ახალი საბჭოთა ადამიანები, შენ მამაცურად და უშიშრად იბრძოლებ ფაშისტების წინააღმდეგ, განგმირავ მათ აუცდენლად.

მე ვიცი, რომ შენ, როგორც სამშობლოს ჭეშმარიტმა პატრიოტმა, სულით და გულით აითვისე დიდი ბელადის, ჩვენი მამის და მთელი კაცობრიობის მეგობრის მოწოდება—„აღვდგეთ ჩვენი უფლებების, ჩვენი მიწა-წყლის დასაცავად“ და გმირულად მოსპობ ფაშიზტ არამზადებს ჰაერში და მიწაზე. ყველა ჩვენგანისათვის ბელადის მოწოდება გაისმის, როგორც სამამულო ბრძანება. ეუპასუხეთ ბელადს, ეფიცავ ჩემსა და შენს სახელს—მოვახმარო სამშობლოს დაცვის საქმეს მთელი ჩემი ძალღონე, მთელი ჩემი ცოდნა, ხოლო თუ საჭირო იქნება, ყველაზე დიადი და ძვირფასიც, რაც ადამიანს მოეპოვება,—სიცოცხლე.

შენ გაიზარდე და დავაჟკაცდი. შენი კუთვნილი აღიარო რუსეთის მიწის მტაცეც, მძლავრი ძალით. შენი თვალები შევარდნის თვალებზე უფრო მჭრელია. შენ იზრდებოდი ჩვენს საყვარელ და ძვირფას სამშობლოსთან ერთად, სადაც არ არის ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა, არ არის სიღატაკე და გაპარტახება, — და არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გაიძულოს შენ ხელიდან გაუშვა საჭე, რომელსაც შეეძლოს მუხლი მოადრეკინოს ჩვენს სამშობლოს. შენთან ერთად უფროსი და საშუალო თაობის მფრინავთა დასახმარებლად ჰაერში აფრინდებიან ათასობით ახალგაზრდა მფრინავები, ნებისყოფითა და სულით ძლიერნი. ჩვენ ვერავითარი ციხე-სიმაგრე ვერ გაგვიმკლავდება.

მე ახალგაზრდა და ბედნიერი ვარ, როგორც შენ, ვასია. შენ 22 წლისა ხარ, მე 42-ში გადავდექი. შენ ახალგაზრდა ხელები გაქვს, მაგრამ ჩემი ხელებიც მტაცეა. შენ მჭრელი თვალები გაქვს, მაგრამ ჩემი თვალებიც მშვენივრად ხედავენ. სიყვარული ჩემი სამშობლოსადმი და სიძულვილი ჩემი სამშობლოს მტრებისადმი—ეს ის ორიენტირებია, რომლებსაც სახელმძღვანელოდ გამოვიყენებ და არ მეშინია, რომ გზას აცდე, რა გაფრენაშიც უნდა ვიქნე. ეს ორიენტირები გამომიყვანენ ყოველგვარი განსაცდელიდან.

მე შენზე მეტი ხანია ვცხოვრობ ამ ქვეყნად. შენ ის-ის იყო გაჩნდი, მე რომ მოხალისედ წავედი წითელ არმიაში. მთელ ჩემ სიცოცხლეს, მთელ ჩემ არსებობას უნდა ვუმადლოდე დედა-სამშობლოს. მან აღმზარდა, ქვედა ფენებიდან გამომიყვანა, ფეხზე დამაყენა, კაცად, თავის გმირად გამხადა. ახლა მე მას მადლობას ვუძღვნი, ულმობლად ვსპობ და კვლავაც მოვსპობ გამხეცებულ ფაშისტებს.

არ არსებობს იმაზე უფრო საშინელი ბოროტმოქმედებანი, რომლებსაც ფაშისტური შავი ხროვა სჩადის. ფაშისტთა უდელქვეშ სული ეხუთებათ საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ნორვეგიის, ჰოლანდიის, იუგოსლავიის, საბერძნეთის, ბულგარეთის ხალხებს. ამ ქვეყნების ხალხები დამცირებულნი, შერცხვენილნი, მიწასთან გასწორებულნი არიან. ოკუპირებულ ქალაქებსა და სოფლებში ფაშისტი მტარვალები დაუნდობლად სპობენ ბავშვებს, ქალებსა და მოხუცებს.

ფაშისტები აწიოკებენ და ჟლეტენ მოსახლეობას მათ მიერ დაკავებულ საბჭოთა რაიონებში. ძვირფასო ვასია, ჩვენ ვალდებული ვართ შური ვიძიოთ დახვრეტილ და ტანჯვა-წამებით დახოცილ ბოლშევიკთა, ბავშვთა, ქალებისა და მშვიდობიან მცხოვრებთათვის, დანგრეულ ჰოსპიტლებისათვის, ჩვენი ქალაქების, ჩვენი სოფლების ბომბარდირებისათვის.

ჩვენი ქვეყანა სამამულო ომის მრისხანე და დიად დღეებს განიცდის. ყინულოვანი ოკეანიდან შავ ზღვამდე გადაჭიმულ ფრონტებზე იცავს თავის სამშობლოს მთელი საბჭოთა ხალხი. ჩვენ გავიმარჯვებთ! გავიმარჯვებთ იმ ძალით, რომლის გატეხა არავის შეუძლია: უსაზღვრო რწმენით სამართლიანი საქმისადმი. მოგიწოდებ შენ, ჩემო შვილო, და ფრონტზე მიმავალ ათასობით სხვა ახალგაზრდა მფრინავებს—გაბედულად და თავდადებულად ებრძოლოთ მძვინვარე მტერს და ანადგუროთ იგი, სადაც და როდესაც უნდა გამოჩნდეს.

მე მწამს, ძვირფასო ვასია, რომ შენს საბრძოლო მანქანას მტერი ვერ გაექცევა. დაჰკა მტერს მთელი ძალღონით! და თუ ვაზნები გაგითავდება, თვითმფრინავით პირდაპირი დაჯახება—ჩვენი პილოტების საიმედო და საყვარელი საშუალება—დაგეხმარება სვავის მოსპობაში.

ძვირფასო შვილო, მოველი შენგან ისეთ საქმეებს, რომლებიც გაახარებენ მშობლიურ სტალინს. მე, შენი მამა, გლოცავ საგმირო საქმეებისათვის სამშობლოს სახელით, ჩვენი ხალხის ბედნიერების სახელით. გახსოვდეს, რომ მე ყოველთვის შენს გვერდით ვარ ყოველ ბრძოლაში, სადაც უნდა იყო.

ნახვამდის, ვასია, მაგრად გეხვევი.

შენი მამა **მ. ვოდოპიანოვი.**

(„პრავდა“, 23/VIII).

საქართველოს რემედასის ორგანიზაციები ეხმარებიან წითელ არმიას

საქართველოს რემედასის ცენტრალურმა კომიტეტმა რემედასის საკავშირო კომიტეტის დადგენილების საფუძველზე ამჟამად მუშაობა გაშალა სამამულო ომის ინტერესების შესაბამისად. თბილისის რემედასის მთელ რიგ ორგანიზაციებში მოეწყო ამხ. ათაბეგოვისა და სულეიმანის ლექციები: „სამამულო ომი და რემედასის ამოცანები“ და „გერმანიის ფაშიზმის რასიული თეორია“.

20 აგვისტოს საქ. რემედასის ცენტრალურმა კომიტეტმა მოაწყო დიდი კონცერტი, რომლის მთელი შემოსავალი (8.000 მანეთი) გადაირიცხა თავდაცვის ფონდში. ამ საღამოზე საქართველოს რემედასის ორგანიზაციას სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის გადაეცა რემედასის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა.

საქართველოსა და თბილისის მთელ რიგ რაიონებში რემედასის ორგანიზაციები ენერგიულად მუშაობენ ახალი წევრების მოზიდვის, ფრონტზე მყოფ წითელარმიელთათვის საჩუქრების შეგროვებისა და სახალხო თავდაცვის ფონდის გაძლიერებისათვის. რემედასის წევრები ეუფლებიან სანიტარულ თავდაცვას, მიდიან დონორობად, მედიცინის დებად და სხვ.

მაგალითად, რემედასელი დისახლისები ჰოსპიტალისათვის კერავენ ლეიბებს, თეთრეულს და სხვ., აქტივისტი რემედასელების ამხ. ჩიგოგიძის, პოლოსოვასა და საყვარელიძის ხელმძღვანელობით ენერგიულად მუშაობენ ახალი წევრების მოზიდვისათვის. თბილისის ბერიას სახ. რაიონში ერთ თვეში ნებაყოფლობით შეგროვილია 15.000 მანეთი ასევე კარგად მუშაობენ სტალინის, კიროვის, 26 კომისრისა და ლენინის რაიონები.

ჰიათურის რემედასის ორგანიზაციაში, რომელიც ერთერთი მოწინავე ორგანიზაციაა საქართველოში, ომის პირველივე დღიდან გაიშალა ფართო მუშაობა სამამულო ომის პირობების შესაბამისად. ძირეულ ორგანიზაციებში შექმნილია სპეციალური ბრიგადები, რომლებიც აწარმოებენ ლითონისა და ფულადი სახსრების შეგროვებას. წულუკიძის რაიონში 15 დღეში წითელარმიელთათვის საჩუქრების შესაძენად ნებაყოფლობით შეგროვილია 10.000 მანეთი. დიდი მუშაობაა გაშლილი კოლმეურნეობებში. ვანის რაიონში შექმნილია 12 ახალი უჯრედი, რომელშიც 800 წევრი ირიცხება. ზესტაფონის რაიაბრეშუმთან არსებულმა რემედასის ორგანიზაციამ წითელარმიელთათვის საჩუქრების შესაძენ ფონდში 860 მანეთი შეიტანა. აქედან 300 მანეთი შეიტანა აქტივისტმა რემედასელმა ქეთო გოგოლაშვილმა. მონდომებული და ენერგიული მუშაობის ასეთი მაგალითები უამრავია.

საქართველოს რემედასის ორგანიზაციები ომის ვითარებასთან დაკავშირებით ახლებურად მუშაობენ და თავიანთი წვლილი შეაქვთ პირსისხლიანი ფაშიზმის საბოლოო განადგურების საქმეში.

ჰიტლერის გერმანია ღალუკვისაკენ მიდის

ადოლფ ჰიტლერმა და მისელმა მისმა სახიზღარმა კამარილამ 8 წლის წინათ კანცლერის სასახლეში მიიტანეს პროგრამა, რომელიც გერმანიაზე ბატონობის ნადატად წარადგინეს. ამ პროგრამაში ყველაფერი ყალბი იყო, გარდა ერთისა: ვალდებულებისა — მოემზადებინათ და გაეჩაღებინათ ახალი, თავისი მასშტაბით უმაგალითო მტაცებლური ომი ესეც კია, გერმანიის ნადგეილი ბატონ-პატრონები—სამრეწველო მეფეები და პრუსიელი იუნკრები—მხოლოდ ამას მოითხოვდნენ ჰიტლერელი აკაზაკებისგან.

ფაშისტური მთავრობა თითქმის 6 წლის განმავლობაში გაცხარებით სჭედდა იარაღს ევროპის, შემდეგ კი მთელი მსოფლიოს დასამონებლად. ომს, რომელსაც ფაშისტები ამზადებდნენ, გებელსის ყალთაბანდურ ყარგონზე ეწოდებოდა ომი რევანშისათვის, „სამართლიანობის აღდგენისათვის“. გერმანიის გენერალურ შტაბსა და ჰიტლერის სამეფოდარში—ბერხტესგადენში — გერმანელი ხალხისაგან მალულად წინასწარ დასჩეხეს და დაჰკუწეს ევროპის ცოცხალი სხეული, მის ხალხებს ხვედრად არგუნეს მონობა კრეპებისა, ფეგლერებისა — იმათი, ვინც ჰიტლერი რაიხსკანცლერად აქცია და ისეთი ახალი მილიონერებისა, როგორიც არიან გერმან გერინგი, იოაკიმ რიბენტროპი, რობერტ ლეი, რომელნიც ფაშისტების პარაშის წლებში არცერთ შემთხვევას არ უშვებენ ხელიდან, რათა რაც შეიძლება მეტი დიეტაცონ და ჩაიჯიბონ.

მიხაკისფერ ბანდიტებსა და მათს ატამანს უკვე ორი წლის წინათ ეგონთ, რომ ლაზერის ჩაცვმის დრო დადგა. ჰიტლერი მაშინ ჯერ კიდევ ვერ ბედავდა აშკარად გამოეთქვა ყოველივე ის, რასაც იგი თავის შავბნელ სულში ელოლიავებდა. როგორც გამოცდილი შულერი, იგი განსაზღვრულ დრამდე მხოლოდ ერთ ჩაწყობილ ბანქოს თამაშობდა—ეს იყო ვერსალის საზავო ხელშეკრულების ტერიტორიული სტატუტების მოსპობა. „ჩემი მიზნები შეზღუდულია“,—ამბობდა იგი, როცა მისი ბანდები უკვე ინადგურებდნენ პოლონეთს, და ამავე დროს ფარულად წინასწარ სტკბებოდა მსოფლიოზე გამარჯვებით.

ჰიტლერის გახურებულ ტვინში ერთ სურათს სწრაფად სცვლიდა სხვა სურათები. მსოფლიო გაყოფილია, სახელმწიფოები განცალკევებული არიან, თვითონ იგი ცოტა როდი გარჯილა ამაზე, ამასთან მიზნის მისაღწევად არა თაკილობდა არავითარ საშუალებას — პროვოკაციებს, სიცრუეს, დივერსიებს, მოსყიდვას, მუქარას, მტყუვნებს. ჰიტლერი ფიქრობდა, რომ მას მუდამ წარმატება ექნებოდა. მს სწამდა, რომ ბოლომდე შესძლებდა თავის მსხვერპლთა ცალ-ცალკე განადგურებას. ამ წყალწყმედულ ავაზაკს კაცობრიობა ღამით უდაბურ გზაზე დარჩენილ მარტოხელა უიარაღო მგზავრებად წარმოედგინა.

ჰიტლერელთა რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულთა შორის, ყოველ შემთხვევაში, ორი დანაშაული თითქოს ადასტურებდა ჰიტლერის იმედებს — ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობის მოსპობა. ესენი იყვნენ პირველი მსხვერპლნი, რომლებიც მიხაკისფერ მკვლელთა დანის ქვეშ მოხვდნენ. პოლონეთზე ბარბაროსულმა თავდასხმამ ფაშისტა მოძალადეებს თავხედობაც და რწმენაც შეაშალა. მართალია, პოლონეთი წინააღმდეგობას უწევდა, მან ძვირად გაჰყიდა თავისი სიცოცხლე, მაგრამ მაინც გასრისა იგი მიხაკისფერმა სამხედრო მანქანამ, რომელიც ბევრად სჯობდა მას.

ჰიტლერი გულმოდგინედ არჩევდა მორგ მსხვერპლთ.

განა დიდხანს შეეძლოთ თავით ფეხამდე შეიარაღებული ფაშისტური ურდოების უეცარი თავდასხმისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ ისეთ პატარა, სუსტ ქვეყნებს, როგორიც არიან ნორვეგია, დანია, ბელგია, ჰოლანდია?

საფრანგეთის გასანადგურებლად, რომლის გათახსირებული მმართველნი მრავალი წლის განმავლობაში აშკარად უგულებელყოფდნენ ქვეყნის თავდაცვას, ჰიტლერი მაინც იძულებული იყო შეეგროვებინა მთელი არსებული ძალები. ეს ძალები კი მას 2-3-ჯერ მეტი ჰყავდა, ვიდრე საფრანგეთს. ჰიტლერელები ეძგერნენ ღალატით დაღრღნილ ქვეყანას, იმ ქვეყანას, რომლის ნებისყოფა დათრგუნული იყო, რწმენა შერყეული იყო, წინააღმდეგობის გაწევის უნარი ძირშივე მოშლილი იყო.

და მაინც არ შეიძლება უგულებელყოფილ იქნას ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. ჰიტლერის გენერლებს, ვიდრე საფრანგეთს თავს დაესხმოდნენ, პოლონეთში ჩატარებული შედარებით ხანმოკლე კამპანიის შემდეგ 8 თვის შესვენება დასჭირდათ. ისტორიკოსები ყურადღებას მიაქცევენ ამ გარემოებას. ყოველი ყაჩაღური თავდასხმის შემდეგ ჰიტლერს შესაძლებლობა ჰქონდა მრავალი თვის განმავლობაში დამშვიდებით შეეკუთ თავისი ბანდები, განეახლებინა და კიდევაც გადეახლისებინა მათი საუკეთესელი. ყოველი ახალი თავდასხმის წინ იგი კვლავ აღმოჩნდებოდა ხოლმე თავის მორგ მსხვერპლზე უფრო ძლიერი. უკვე მარტო ეს ფაქტი ააშკარავებს „ელვისებური“ სტრატეგიის ბლეფს. ნაბეგი ფაშისტური ს

ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲝᲗ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲐᲡ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲪᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲛ 8 ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲐ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ (ტელეფონით „კომუნისტის“ კორ.). **ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲪᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲛ 30 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲐ ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲪᲘᲡ ᲐᲛᲝᲚᲔᲑᲘᲡ 8 ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ. ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲗᲐ 8 ᲗᲕᲔᲨᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲗᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲒᲒᲔᲑᲐ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ ᲙᲐᲒᲐᲜᲒᲕᲘᲩᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲜᲝᲡ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲑᲘ. ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲗᲐ ᲘᲕᲚᲘᲡ-ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲨᲘ ᲓᲘᲓᲫᲐᲚᲘ ᲑᲘᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲝᲤᲔᲗᲘᲔᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲓᲐᲖᲝᲒᲔᲡ.

Ლ. ᲚᲝᲚᲐᲫᲔ

ᲡᲐᲛᲐᲛᲔᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

ᲐᲙᲐᲠᲛᲐᲠᲐ, (საქდესი). ტყვარჩელის მაღაროელთა კოლექტივი წარმატებით გარდაჰქმნის თავის მუშაობას დიდი სამამულო ომის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

საგრძნობლად გადიდდა ქვანახშირის სადღეღამისო ამოღება. შარშანდელი წლის აგვისტოსთან შედარებით, ქვანახშირის ამოღებამ ერთიერთად და კიდევ მეტად იმატა. ბევრად იმატა სადღეღამისო გათხრამაც.

ტყვარჩელში დიდი ყურადღება ეთმობა ქალთა მომზადებას იმისათვის, რომ მათ შესძლონ არმიაში წასულ მეშახტეთა შეცვლა. ახალგაზრდობა—კომკავშირელი ქალი არახამია, გრინი და ᲨᲣᲒᲘᲔᲑᲘ ეუფლებიან ამშენდის პროფესიას და უკვე 200 და მეტი პროცენტით ასრულებენ ნორმას. ივლისსა და აგვისტოში ტექნიკური სწავლების კურსებმა 40 მოტორისტი, ელექტრიკოსი და ცეცხლფარეში ქალი გამოუშვა.

8 ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ

ᲐᲙᲐᲠᲛᲐᲠᲐ (საქდესი). ტყვარჩელის მეშახტეები, რომელთაც სამხედრო ყაიდაზე გარდაჰქმნეს მუშაობა, სულ ახალ-ახალ საწარმოო გამარჯვებას აღწევენ. 26 აგვისტოსათვის ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა შეასრულა ქვანახშირის ამოღების რვა თვის გეგმა.

ტყვარჩელის მეშახტეები ვალდებულებას კისრულობენ სახელმწიფოს ათასობით ტონა ქვანახშირი ჩააბარონ თვის დამლევამდე.

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲯᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ

ვ. მ. ბაქრაძის სახელობის ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს გეგმას, 7 თვეში კომბინატმა გამოუშვა 6 მილიონზე მეტი მანეთის საერთო პროდუქცია უცვლელ ფასებში. წარმატებით სრულდება აგვისტოს გეგმაც.

საბჭოთა ხალხის დიადი სამამულო ომის დღეებში განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება კომბინატში სტახანოვური და მრავალდაზგოსნური მოძრაობა. საგრეხმოსამზადებელი საამქროს მუშა-ქალი ამხ. ლ. ბიბილეიშვილი, რომელიც ომამდე 24 ჯარას ემსახურებოდა, ახლა 48 ჯარას ამუშავებს და გეგმას 170 პროცენტით ასრულებს. დ. კვარაცხელია ნაცვლად 24-ისა, 48 ჯარას ემსახურება და გეგმას 138 პროცენტით ასრულებს. ძაფის მაორფებელი პ. კრაჭინკო 22-ის ნაცვლად 90 ჯარას ემსახურება და საწარმოო დავალებას ანაღდებს 145 პროცენტით. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მქსელავმა მუშამ ამხ. ო. ნიკუტაძემ, იგი გეგმას 200 პროცენტით ასრულებს. ქვეოსტატი გ. ჯიმშელეიშვილი 32 დაზგას ემსახურებოდა, ახლა იგი 48 დაზგას უწევს მომსახურებას და გეგმას 127 პროცენტით ასრულებს.

მიუხედავად ზაფხულის პერიოდის თავისებურებისა (ზედმეტი სითბოს გამო ძაფის ხშირი წყვეტა) საქსოვ საამქროში დაზგების მომსახურება მაინც ეზრდება. მქსოველი ამხ. თ. მონაკო, რომელიც ომამდე 3 დაზგაზე მუშაობდა, ახლა 5 დაზგას ემსახურება და გეგმას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს, გამოშვებული პროდუქცია საუკეთესო ხარისხისაა. ასევე ნაყოფიერად მუშაობენ ოთხდაზგოსნები: ა. კრიკლომოვა და ვ. შველაძე. გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და სრულფასოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო გამარჯვებები მოიპოვეს აგრეთვე ბრიგადირებმა ე. ჯავახაძემ და მ. ნინაკაშვილმა.

ᲑᲠ. ᲠᲣᲮᲐᲫᲔ

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲧᲐᲘᲓᲐᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ

ᲒᲝᲠᲘ („კომუნისტის“ კორ.). რაიონის კოლმეურნეობები პირნათლად ასრულებენ სახელმწიფოს წინაშე თავიანთ ვალდებულებებს. რაიონმა უკვე შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორბლეულის სავალდებულო ჩაბარების გეგმა.

კოლმეურნეობებში უკვე დაიწყო საშემოდგომო კულტურების თესვა. სოფ. ვარიანის კოლმეურნეობამ საშემოდგომო ხორბალი დათესა 49 ჰექტარზე, სოფ. მეღვრეკისის კოლმეურნეობამ კი 65 ჰექტარზე.

ᲛᲨᲕᲘᲪᲐ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲡ ᲣᲧᲠᲘᲐᲜ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲣᲮᲣ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ

ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ („კომუნისტის“ კორ.). რაიონის კოლმეურნეობები წარმატებით ემზადებიან საშემოდგომო თესვისათვის. დიდი სამამულო ომის დღეებში კოლმეურნეები შრომის ნაყოფიერების მაღალ მაჩვენებლებს აძლევიან. წარმატებით მმდინარეობს საშემოდგომო ხვნა სოფ. ქვემო-მაჩხაანის, ბოდბისხევის, ბოდბის და მაღაროს სასოფლო საბჭოებში შემავალ კოლმეურნეობებში. ქვემო-მაჩხაანის კოლმეურნეობების ნაკვეთებზე ხვნას აწარმოებს ალაზნის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადა ორდენოსანი ბრიგადირის მ. ლაზარიაშვილის ხელმძღვანელობით. ამ ბრიგადის თვითეული ტრაქტორისტი ხვნის ყოველდღიურ გეგმას 150-200 პროცენტით ასრულებს.

საშემოდგომო ხვნაში წინ მიდის წნორის მტს-ი. აქ ხვნის ყოველდღიურ გეგმას დიდი გადაჭარბებით ასრულებს გ. მენთეშაშვილის და გ. ჯანყარაშვილის სატრაქტორო ბრიგადები.

ხვნის მხრივ კარგი მაჩვენებლები აქვს აგრეთვე ულიანოვკის მტს-ს. ამ მტს-ის მ. გიგოლაშვილის სატრაქტორო ბრიგადის თვითეული ტრაქტორისტი ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 13 ჰექტარისა ყოველდღიურად 25 ჰექტარს ხნავს და თვითეულ ჰექტარზე ზოგავს 4 კილოგრამ საწვავ მასალას. ბრიგადაში საუკეთესოდ არის დაყენებული ტრაქტორების ტექნიკური მოვლა.

Ი. ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲐᲑᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ

თამბაქოს პლანტაციებში გაცხარებული მუშაობაა ახალი მოსავლის თამბაქოს შეტეხასა და აცმაზე. 25 აგვისტოსათვის შეტეხილი და აცმულია 14 მილიონი ზონარმეტრით მეტი თამბაქო, ვიდრე შარშან ამავე რიცხვისათვის. საუცხოო მაჩვენებლები აქვთ აჭარის ასს რესპუბლიკას, ბორჩალოს და ლაგოდეხის რაიონებს, რომელთაც თამბაქოს აღების გეგმა შესრულებული აქვთ 58-60 პროცენტით.

მოსავლის აღებასთან ერთად გაჩაღებულია სახელმწიფოსათვის თამბაქოს ვადამდე ჩაბარება. ვადამდელი დამზადების გეგმა ვადაზე ადრე შესრულეს: აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკებმა, ლაგოდეხის, სიღნაღის და წითელწყაროს რაიონებმა. აჭარის ასს რესპუბლიკამ ვადამდელი დამზადების გეგმა 186,5 პროცენტით შეასრულა, ლაგოდეხის რაიონმა — 111,7. (საქდესი).

ᲓᲐᲕᲗᲔᲡᲝᲗ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲔᲑᲘ

ᲐᲡᲐᲠᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲐᲡᲐᲠᲘᲜᲔᲗᲘᲡ რაიონის კოლმეურნეები მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად აღფრთოვანებულნი ვართ იმ გმირული და თავგანწირული ბრძოლებით, რომელსაც სახელოვანი წითელი არმია აწარმოებს ბერმანიის პირსისხლიან ფაშიზმთან. ასპინძის რაიონის კოლმეურნეები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ საკოლმეურნეო მინდვრებზე დაუღალავი შრომით გეგმის გადამეტებით შესრულებით კიდევ უფრო განამტკიცონ წითელი არმიის გმირული ბრძოლებით გამოწვეული აღფრთოვანება ჩვენ გამოვხატეთ იმით, რომ შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ ავიღეთ მარცლეულის უხვი მოსავალი, პირნათლად მოვიხადეთ სახელმწიფო ვალდებულებანი, დროულად დავამთავრეთ საშემოდგომო ხვნა, კარგად მოვემზადეთ თესვისათვის და თავდაცვის ფონდში შევიტანეთ ჩვენი წვლილი: განსაზღვრული რაოდენობის შრომადღეების ღირებულება, ფული, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ობლიგაციები, ოქრო, ვერცხლი და სხვა, მაგრამ ამით არ ვკმაყოფილდებით.

სოფელ საროს კოლმეურნეობა „წითელი საროს“ წევრებმა წამოაყენეს წინადადება ამ შემოდგომაზე კოლმეურნეობებში გეგმის გადამეტებით დავთესოთ თავდაცვის ჰექტარები. საროს კოლმეურნეობის ამ ინიციატივის საფუძველზე ასპინძის რაიონის კოლმეურნეობებმა აიღეს ვალდებულება თავდაცვის ფონდში დათესონ საშემოდგომო ხორბალი არანაკლებ 64 ჰექტარისა, ასპინძისა და ხიზაბავრის ბერიას სახელობის კოლმეურნეობებმა — ხუთ-ხუთი ჰექტარი. მათვე იკისრეს თავდაცვის თვითეული ჰექტარის საშუალო მოსავალი გაადიდონ 16-18 ცენტნერამდე.

ჩვენ, ასპინძის რაიონის კოლმეურნეობები, ვთესავთ რა თავდაცვის ჰექტარებს, ვკისრულობთ: გულდასმით მოვაწყოთ ნიადაგის თესვისწინა დამუშავება, გავიტანოთ მინდვრად ნაკელი დაწესებულ ვადებთან შედარებით ათი დღით ადრე, მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ საშემოდგომო თესვა. კიდევ რამდენიმე დღე და რაიონის ბარაქიან საკოლმეურნეო მინდვრებზე მასობრივად გაჩაღდება საშემოდგომო თესვა. საამისოდ მზად გვაქვს ნიადაგი, თესლი, მანქანა-იარაღები, ცოცხალი გამწევი ძალა. არ უნდა დარჩეს არცერთი კოლმეურნეობა, რომელიც არ დათესავს თავდაცვის ჰექტარებს. ასეთია ჩვენი ერთსულოვანი მოწოდება საქართველოს კოლმეურნეობებისადმი.

სოფელ საროს, ნიალის, იუველის, ჩობარეთის, ხიზაბავრის, ასპინძის და ზემო-ოშორის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები: **არსენ ასპანიძე, მილაზ ალიევი, იასონ ზედგინიძე, ვახტანგ ინასარიძე, ფანჩო მაზმანიშვილი, ჩუმალი მახმედ-ოღლი, ხალის მურადოვი.**

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲕᲐᲓᲐᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ ᲐᲜᲐᲚᲓᲔᲑᲔᲑᲡ

ᲑᲐᲨᲙᲘᲩᲔᲗᲘ („კომუნისტის“ სპეც. კორ.). სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულება ბაშკიჩეთის რაიონში წარმატებით მიმდინარეობს. 25 აგვისტოსათვის რაიონს დამამზადებელი ორგანოებისათვის ჩაბარებული ჰქონდა: ხორცი—წლიური დავალების 98,9 პროცენტი, რძის პროდუქტები—93,7 პროც., მარცლეულ კულტურები—80,4 პროც., მატყლი (მეორე გაპარსვის ჩაუთვლელად) — 57,8 პროც., ყველი „ბრინზა“—67 პროც., ტყავის დამზადების წლიური გეგმა ამავე რიცხვისათვის შესრულებული იყო 96,5 პროცენტით, ხოლო კერძოდ მსხვილფეხა რქიანი საქონლის ტყავისა—140 პროცენტით.

სოფ. ბაშკიჩეთის კუბიშევის სახელობის, ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის და ვალგეშის კიროვის სახელობის კოლმეურნეობებმა წლიური დავალებები გადაჭარბებით შეასრულეს.

დამზადდა გაძლიერებული ტემპებით მიმდინარეობს. წლიური დავალება ვადაზე ადრე და გადამეტებით იქნება შესრულებული.

ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲣᲪᲮᲝᲠᲝ ᲜᲐᲧᲝᲤᲘ

ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘ („კომუნისტის“ სპეც. კორ.). რაიონის კოლმეურნეობები ყურძნის უხვი მოსავალი იღებენ. კოლმეურნეობა „როტფრონტმა“ გასულ წელს ჰექტარზე 48 ცენტნერი ყურძენი მიიღო, წელს კი 70 ცენტნერზე მეტს მოელიან. კოლმეურნეობები მზად არიან რთველისათვის. მთელი მუშაობა იმნაირად სწარმოებს, რომ ყურძნის უხვი მოსავალი უდანაკარგოდ აიღონ.

ფართოდ გაიშალა მუშაობა საშემოდგომო თესვის შემჭიდროებულ ვადებში ჩატარებისათვის. სწარმოებს სათესლე მასალის კონდიციამდე დაყვანა. მთავრდება იარაღ-მანქანების რემონტი. დამკვრელური ტემპებით სწარმოებს საშემოდგომო ხვნა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲭᲠᲐᲥᲭᲝᲠᲘᲡᲯᲔᲑᲘ

ᲑᲐᲨᲙᲘᲩᲔᲗᲘ („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ბაშკიჩეთის მტს-ში წითელ არმიაში გაწვეული ტრაქტორისტები შესცვალეს ახალმა ტრაქტორისტებმა. გიორგი ასლანიანცი ერთ თვეზე მეტია დამოუკიდებლად მართავს ტრაქტორს. მან თავისი მანქანით უკვე მოხნა 133 ჰექტარი ფართობი და მოსავალი აიღო 37,5 ჰექტარზე. ამ სამუშაოთა შესრულებას დროს ასლანიანცმა დაზოგა 224 კილოგრამი საწვავი.

კარგი მაჩვენებლები მოგვცა აგრეთვე კომკავშირელმა გიორგი სიმონიანცმა. მან ტრაქტორის მართვა ისე შეისწავლა, რომ ამისათვის კურსებს და სპეციალური სკოლა არ გაუვლია. სიმონიანცს 100 ჰექტარი ფართობი აქვს მოხნული.

წარმატებით აბარებს პირველ გამოცდას ახალგაზრდა ტრაქტორისტი ვანო შარბანაშვილი. მან შესცვალა საუკეთესო ტრაქტორისტი ვანო ოქროპაშვილი, რომელიც წელს სას.-სამ. გამოფენის კანდიდატად იყო დამტკიცებული, მაგრამ სამშობლოს დაძახებიგი იგი წითელი არმიის სატანკო ნაწილში წავიდა. შარბანაშვილი ცდილობს არ შეარცხვინოს მოწინავე ტრაქტორისტის სახელი. მის მიერ მოხნულმა 13 ჰექტარმა მაღალი შეფასება მიიღო.

მტს-ი ამზადებს ტრაქტორისტთა ახალ კადრებს.

ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲔᲑᲘ

ᲐᲡᲞᲘᲜᲫᲐ („კომუნისტის“ სპეც. კორ.). რაიონის კოლმეურნეები ყველაფერს აკეთებენ ფრონტის დასახმარებლად. სოფ. საროს კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა წელს შემოდგომაზე გეგმის გადამეტებით თავდაცვის ფონდში დათესოს 4 ჰექტარი ხორბალი და უზრუნველჰყოს ჰექტარზე საშუალო 16 ცენტნერი მოსავლის მიღება. საროს კოლმეურნეობის ამ ინიციატივამ რაიონში ფართო გამოხმაურება ჰპოვა.

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების სარაიონო თათბირზე, რომელიც საშემოდგომო თესვისათვის მზადყოფნის საკითხზე იყო მოწვეული, ასპინძის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. მახმუდოვმა კოლმეურნეთა სახელით იკისრა თავდაცვის ფონდში გეგმის ზევით დათესოს 5 ჰექტარი ხორბალი და თავდაცვის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს მოსავალი არანაკლებ 18 ცენტნერისა. სოფ. ხიზაბავრის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა თავდაცვის ფონდში გეგმის გადამეტებით სთესავს 5 ჰექტარ ხორბალს და გაზაფხულზე 1 ჰექტარ კარტოფილს. ეს კოლმეურნეობა ყოველმხრივ მზად არის თესვისათვის.

სოფ. გამაზის, ძველი ჯობარეთის, დამალის კოლმეურნეობები თავდაცვის ფონდში სთესავენ თვითეული 4 ჰექტარ ხორბალს. სოფ. ზემო-ოშორას, ქვემო-ოშორას და როკეთის კოლმეურნეობები კი სამ-სამ ჰექტარს.

სოფ. ტოკის და ვარგავის კოლმეურნეობები საშემოდგომო თესვას შეუდგნენ. თესვა რაიონში მასობრივად სექტემბრის პირველი რიცხვებიდან დაიწყება.

წელს ასპინძის რაიონის კოლმეურნეობებმა პურეულის კარგი მოსავალი მიიღეს. 48 კოლმეურნეობამ დაამთავრა მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება. 17 კოლმეურნეობაში დამთავრებულია ლეწვაც. ამჟამად მოსავლის აღება მხოლოდ მთის კოლმეურნეობებში გრძელდება.



თამარ ჯულაბაშვილმა წელს დაამთავრა სახელმწიფო ინდუსტრიული ინსტიტუტი და 26 კომისრის სახელობის ქარხანაში დაიწყო მუშაობა წითელ არმიაში გაწვეულ ტექნოლოგის ნაცვლად. **სურათზე:** მარცხნივ თ. ჯულაბაშვილი თვალყურს ადევნებს ტექნოლოგიურ პროცესს, მარჯვნივ — მბურღავი ვ. მანდრიკინა.

ფოტო რ. აკოფოვისა.

კასპის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ტრაქტორისტი ვარა ყარაშვილი ტრაქტორის საჭესთან.

ფოტო რ. აკოფოვისა.

ᲕᲐᲠᲯᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲗᲔᲑᲘ

I

ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲔᲛ ᲚᲝᲛᲡ ᲐᲯᲠᲝᲑᲐ,
მას უყვარდა მამული;
გვინდა მეტი ვაუკაცობა,
ბრძოლა პარტიზანული.

ვინ ყუმბარით, ვინ შაშხანით
დავერიოთ დუშმანებს;
დე, გაჰქონდეს თოფს ჰახანი,
მკერდს გუნგრევდეთ გულშავებს.

გვიბუგავენ ცეცხლით კერებს,
წალკოტს — მშობელ მხარეში.
ბალი მგლებმა გადათქერეს,
მოვსპოთ მგლების თარეში.

ქალი, ბავშვი თუ ჰაღარა
მამულს ვყავდეთ მცველადა,
დავკრათ ბრძოლის ბუკ-ნაღარა
მტრების ასაცელადა.

ვინც შეღება სისხლით წყარო,
ხანძარს მისცა სოფელი,
მიწას ლეშად მივაბაროთ
ცოცხლად გასახმობელი.

აყვავებულ ბარს და გორებს
თუ ჰკორტნინან ძერები,
ყანაღს ტყვია გაასწორებს
გულზე დანაძგერები.

ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲔᲛ ᲚᲝᲛᲡ ᲐᲯᲠᲝᲑᲐ,
მას უყვარდა მამული;
გვინდა მეტი ვაუკაცობა,
ბრძოლა პარტიზანული.

II

მოვიდა წვიმა და წვიმის შემდეგ
შვიდ ფერს აწერდა ცას ცისარტყელა.
მდინარის ხიდზე გლეხები შედგნენ,
ადიდებულ წყალს უცქერდა ყველა.

ზვირთებს მოჰქონდა დამხრჩვალთ
გვამები
შემოცრეცილი ტანზე მაზარით.
რამდენი მოკვდა კვნესით, წამებით,
რამდენს დაატყდა ომის თავზარი!

აგერ ტალღებში ჩანდა მხედარი
ტიტივით მავალ მორს დაბჯენილი.
იცნეს ბობოქარ წყლის შემხედვარი,
იცნეს ორდენით, ჰქონდა—ლენინის.

იცნეს და იმ წამს, ხიდიდან, სწრაფად
მორევში ჩახტა გლეხი ჰაღარა.
ზვირთებს დგაფუნით აქცევდა ქაფად
ვინც მისი გული ხსნით გაახარა.

ნაპირზე დასვეს, სისხლი სდიოდა,
ფრთხილად მოსწმინდეს მძიმე
ჭრილობა.
ვაუკაცი სიკვდილს არ უჩიოდა,
ჰკითხეს ამბავი, გვარიშვილობა.

მისმა ტყვიებმა დახოცა ბევრი,
მასაც დაუჭრეს მკლავი მარჯვენა;
თავშესაფარად შორს იყო ტყევრი,
მკვდარსაც არ სურდა მტერთან
დარჩენა.

ბოლოს სიცოცხლე ანდო მდინარეს,
ზვირთს მოჰყვებოდა ცურვით
დილამდე,
ხედავდა: ირგვლივ ცეცხლი
მძვინვარეს,
როგორ მიაღწევს ენ ნაწილამდე!

იცნეს გლეხებმა ძმა ჩვენიანი,
და რომ კვლავ ატყდა სროლა, ხმაური,
დღე რომ გათენდა სოფლად მზიანი—
რაზმს უკვე ჰყავდა იქ მეთაური.

ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲔᲑᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲡ

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ, ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ

ᲑᲐᲨᲙᲘᲩᲔᲗᲘ („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ბაშკიჩეთის რაიონის მშრომელები წითელი არმიის მებრძოლებისათვის ამზადებენ კოლექტიურ და ინდივიდუალურ საჩუქრებს. რაიონის კოლმეურნეობებმა და ცალკეულმა ორგანიზაციებმა მომზადდეს საჩუქრები, რომელთა ღირებულება 55 ათას მანეთს აღემატება.

დიდ აქტივობას იჩენენ მოსამსახურე, კოლმეურნე და დიასახლისი ქალები. მათი საჩუქრები სუფთა პარკუჭებშია მოთავსებული, რომლებიც 3-5 კილოგრამს იწონის. პარკუჭებში აწყვია ხელით ნაქსოვი შალის ფეხსაცმანები, პიჩსახოცები და მებრძოლისათვის საჭირო სხვა ნივთები. მარტო რაიონის ცენტრში მცხოვრები ქალებისაგან 25 აგვისტოსათვის შეგროვილი იყო 150 ასეთი საჩუქარი, რომლის ღირებულება 5.666 მანეთს შეადგენს. სოფ. გომარეთის კოლმეურნე ქალთა ჯგუფმა 1.150 მანეთად ღირებული საჩუქარი მომამზადა, სოფ. ჯალამშას კოლმეურნე ქალთა ჯგუფმა—663 მანეთის.

კოლმეურნე მარო მურჯიკნელის საჩუქარი 220 მანეთად არის შეფასებული, პ. ხობეშვილისა—115 მანეთად, ლიდა მაგელის—75 მანეთად, ტერეზა ლეცის—65 მანეთად, დასახლის თამარ ოგანეზოვასი—130 მანეთად, თამარ თუმანიშვილისა—135 მანეთად და სხვ.

თვითეულ საჩუქარს ატყვია მზრუნველი ხელი. წინდები მოსიყვარულე დედის გულმოდგინებით არის მოქსოვილი, პარკუჭებს, პირსახოცებსა და ცხვირსახოცებს მშვენიერი ნაქარგები ამშვენებენ. ნახავთ ამოქარგულ სიტყვებს: „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“.

საჩუქრებში წერილებიც არის ჩადებული, ისინი მხნეობას, ვაჟკაცობასა და გამარჯვებას უსურვებენ მებრძოლებს.

საჩუქრებში, რომელთაც ბაშკიჩეთის რაიონის მშრომელები უგზავნიან წითელი არმიის მებრძოლებს, ჩაქსოვილია მათი უსაზღვრო სიყვარული წითელი არმიისადმი, ჩვენი სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინისადმი.

Ბ. ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲗᲐ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲔᲑᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲡ

ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘ („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ლუქსემბურგის კიროვის სახელობის გერმანელთა კოლმეურნეობის წევრები და მუშა-მოსამსახურენი სისტემატურად უგზავნიან საჩუქრებს ფრონტზე ჩვენი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტებს—წითელარმიელებს. დღემდე უკვე გაგზავნეს 57 ყუთი საჩუქარი, ღირებული 11.000 მანეთად. მე-29 ბრიგადამ, რომელსაც კოლმეურნე ედუარდ კრომერი ხელმძღვანელობს, გაგზავნა 600 მანეთად ღირებული ძვირფასი საჩუქარი, კოლმეურნეებმა ოტილე მილერმა და ემა ბეკმა გაგზავნეს თბილი საცვლები, წინდები, ტყავისა და მატყლის ხელთათმანები, პაპიროსი — სულ 500 მან. ღირებულების. მე-29 ბრიგადის წევრი კოლმეურნე მარო მურჯიკნელის საჩუქარი 220 მანეთად არის შეფასებული, პ. ხობეშვილისა—115 მანეთად, ლიდა მაგელის—75 მანეთად, ტერეზა ლეცის—65 მანეთად, დასახლის თამარ ოგანეზოვასი—130 მანეთად, თამარ თუმანიშვილისა—135 მანეთად და სხვ.

თვითეულ საჩუქარს ატყვია მზრუნველი ხელი. წინდები მოსიყვარულე დედის გულმოდგინებით არის მოქსოვილი, პარკუჭებს, პირსახოცებსა და ცხვირსახოცებს მშვენიერი ნაქარგები ამშვენებენ. ნახავთ ამოქარგულ სიტყვებს: „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“.

საჩუქრებში წერილებიც არის ჩადებული, ისინი მხნეობას, ვაჟკაცობასა და გამარჯვებას უსურვებენ მებრძოლებს.

საჩუქრებში, რომელთაც ბაშკიჩეთის რაიონის მშრომელები უგზავნიან წითელი არმიის მებრძოლებს, ჩაქსოვილია მათი უსაზღვრო სიყვარული წითელი არმიისადმი, ჩვენი სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინისადმი.

Ბ. ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ

31 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲑᲛᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ-ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲑᲐᲐ

31 აგვისტოს მთელ ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა კავშირის კავშირგაბმულობის მოწინავე საწარმოთა ინიციატივით ეწყობა კავშირგაბმულობის მუშაკთა კვირაობა. ასი-ათასობით ფოსტის მუშაკი, რადისტი, ტელეგრაფისტი, ტელეფონისტი, კავშირგაბმულობის ინჟინერ-ტექნიკოსი გამოვა ამ დღეს კვირაობაზე. კავშირგაბმულობის მოწინავეთა ინიციატივას ფართოდ დაუჭირეს მხარი საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკებმა. თბილისში და საქართველოს ყველა რაიონში, სადაც კავშირგაბმულობის საწარმო მოიპოვება, გაიმართა პატრიოტული მიტინგები, რომლებიც მხურვალედ მიესალმნენ კვირაობის მოწყობას. რაიონებში გამორკვეულია მონაწილეთა რიცხვი, დასახულია სამუშაო უბნები. კავშირგაბმულობის კანტორები. ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ კვირაობაში ყველამ მიიღოს მონაწილეობა.

ამ დღეს გამომუშავებული ხელფასი გადაირიცხება თავდაცვის ფონდში. (საქდესი).

Გ. ᲯᲘᲒᲚᲐᲫᲔ

ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘᲡ ᲥᲐᲛᲛᲐ ᲓᲐᲰᲙᲠᲐ!

ფაშიზმი უნდა მოისპოს!—ეს რისთვის იბრძვის დღეს საბჭოთა ხალხი თავისუფლებისმოყვარულ სხვა ხალხებთან ერთად მთელ მსოფლიოში.

საშუალო საუკუნეების ინკვიზიციის ერთად აღებული ყველა ვერაგობა, რა შემძაღრწუნებელიც არ უნდა იყოს იგი, არარაფ გვიჩვენება ამ მუხანათობის ფონზე, რასაც სჩადიან გერმანია-იტალიის პირსისხლიანი ფაშისტები. ამ მუხანათობას ისინი აცხადებენ „ახალ წესრიგად“, მილიონობით ადამიანთა ხოცვა-ყლეტას კი —კაცობრიობის გაწმენდად. სისხლის ოკეანე დააყენეს ამ ბარბაროსებმა ყველგან, სადაც კი თავისი ველური ტორებით გადაიარეს. ამ

„ჰიტლერი ვერ გაიმარჯვებს“

ჰარი ჰოპკინსის სტატია

ყოველკვირეულმა ჟურნალმა „ტეგუსიგალპამ“, რომელიც ჰონდურასში (ცენტრალური ამერიკა) გამოდის, მიმდინარე წლის 8 ივნისის ნომერში მოათავსა ჰარი ჰოპკინსის სტატია „ჰიტლერი ვერ გაიმარჯვებს“.

ქვემოთ შემოკლებულად მოგვყავს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რუზველტის პირადი წარმომადგენლის ჰარი ჰოპკინსის შემოკლებული სტატია.

„ჰიტლერი ვერ მოიგებს ამ ომს. მის წინააღმდეგ მოქმედებს ოთხი უმთავრესი ფაქტორი: 1) სამხედრო-საზღვაო ძლიერების უქონლობა, 2) ჰაერში ახლანდელი უპირატესობის თანდათანობით დაკარგვა, 3) ნედლეულის არასაკმაო რესურსები, 4) ის გარემოება, რომ მის მიერ მიღწეულ წარმატებათა განმტკიცება ამერიკელი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიური და მორალური ინტერესების საწინააღმდეგო იქნებოდა.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ მე განზრახული მაქვს დავამტკიცო მნიშვნელობა ჰიტლერის სამხედრო მანქანისა, რომელიც ფრიად დიდია. მაგრამ ჩვენ, ამერიკელებმა, ისევე როგორც ინგლისელებმა, საკმაო გამოცდილება შევიძინეთ თვითმფრინავების წარმოების გადიდებისა და ჩვენი სამხედრო-საპაერო ძალების გაუმჯობესების საქმეში. ჩვენ ვიცით, რომ თუ სათანადო რეზერვები, მანქანები და პილოტები არ მოგეპოვება, პირველი ხაზის საპაერო ძალები საუცხოო საშუალებაა მხოლოდ პროპაგანდისათვის და არასაკმაოდ შეიარაღებულ ქვეყნებსა და ცუდი ხარისხის თვითმფრინავების მქონე ქვეყნებზე ზეგავლენისათვის. მაგრამ ახლა ინგლისელები უკვე სჯობნიან გერმანელებს ავიაგამანადგურებლების მხრივ. ინგლისის ავიაგამანადგურებლების ხარისხი და რაოდენობა უკეთესია და პატივ, ვიდრე გერმანიისა. ინგლისელებმა უკვე დიდი ხანია ისწავლეს თავისი ქარხნებისა და სხვა უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტების დაცვა დღისით ყუმბარების დაშენისაგან. მათ უკვე ბევრ ადგილას აქვთ კარგად მოშზადებული და მშვენივრად დაცული აეროდრომები“.

დაწვრილებით ეხება რა თანაფარდობას ინგლისის და გერმანიის ავიაციას შორის, ჰოპკინსი ამბობს: „ჩვენი დახმარებით დემოკრატიები გაუთანასწორდებიან გერმანიას საპაერო ფლოტის მხრივ, შემდეგ კი დაიწყება პერიოდი ჩვენი გარდუვალი უპირატესობისა ჰაერში. ჰიტლერი ვერ შესძლებს გადაიტანოს თავისი ქარხნები საკმაოდ შორეულ მანძილზე აღმოსავლეთისაკენ, რათა იხსნას ისინი უდიდესი ყუმბარმშენებლისაგან, რომლებიც ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების ქარხნებში შენდება. ეს უძლიერესი ყუმბარმშენები მოსპობენ გერმანიის ყველა ნავთსაწმენდ საწარმოებს, სინთეტიკური საბობის დამამზადებელ ყველა ქარხანას, თვითმფრინავების წარმოების სახელოსნოებსა და ცენტრებს და კოქსის ღუმელებს“.

ლაპარაკობს რა სამხედრო-საზღვაო ძლიერების მნიშვნელობაზე, როგორც ერთერთ გადამწყვეტ ფაქტორზე ახლანდელ ომში, ჰოპკინსი აღნიშნავს: „ჰიტლერმა დიდი შეცდომა დაუშვა, სამხედრო-საზღვაო ძლიერების მნიშვნელობა საკმაოდ რომ ვერ შეაფასა... იგი ფიქრობდა, რომ თვითმფრინავებს შეუძლიათ დაამარცხონ საზღვაო. შენაერთები, მოსპობენ რა დიდი ბრიტანეთის ნავსადგურებსა და ქარხნებს და დაზვერვითი მოქმედებით ხელს შეუწყობენ წყალქვეშა ნავებს. შესაძლოა, ასეც მომზდარიყო, ერთი წლის წინათ ინგლისელებს რომ არ ჰქონოდათ საკმაო ავიაგამანადგურებლები, რომლებიც საჭირო იყო დიდი ბრიტანეთის თავზე საპაერო ბრძოლებში გამარჯვების მოპოვებისათვის.

ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტი წარმატებით მოქმედებს ფრიად დიდ სივრცეზე და ამავე დროს იცავს ბრიტანეთის კუნძულებს გერმანიის თავდასხმის საფრთხისაგან. ყოველივე ამასთან ერთად, მიუხედავად ჰიტლერის გეგმებისა, ინგლისი შიმშილს არ განიცდის გერმანიის ავიაციისა და წყალქვეშა ნავების მოქმედების შედეგად. ბრძოლა ატლანტის ოკეანეში და დიდ ბრიტანეთისაკენ მიმავალი კომუნიკაციების დაცვა მოასწავებს არა მარტო ინგლისის ნავსადგურებში სურსათისა და სხვა მასალების გადაზიდვის უზრუნველყოფას, იგი აგრეთვე მოასწავებს, რომ დემოკრატიული ქვეყნები ხელთ იგდებენ ინიციატივას მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ეს წარმოადგენს უთანხლეს ღონისძიებას, რომელსაც უნდა მიმართონ დემოკრატიულმა ქვეყნებმა, რომლებიც ეწევიან თავისი ფართო რესურსების მობილიზაციას გამარჯვების მისაღწევად“.

ეხება რა მეომარი ქვეყნების რესურსებს, ჰოპკინსი შემდეგ დასკვნამდე მიდის: „ამერიკის შეერთებულ შტატებს კოლოსალური რესურსები მოეპოვება. იმისათვის, რომ გადიდებულ იქნას საჭურველის პროდუქცია დემოკრატიულ ქვეყნებში, ამჟამად საჭიროა გამოვიყენოთ ხალხთა მთელი უნარი და ენერგია. ამერიკის შეერთებული შტატები თანაბრად დაინტერესებულია იმით, რომ დახმარება გაუწიოს ინგლისს, აგრეთვე ნორვეგიას, პოლონეთს, სბერძნეთს, იუგოსლავიას და სხვა დემოკრატიულ ქვეყნებს, რომლებიც ამჟამად ნაცისტური ბატონობის ქვეშ იმყოფებიან.

ახლანდელი კონფლიქტი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას წარმოადგენს. ჰიტლერმა არაორაზროვნად გამოსთქვა თეზისები გერმანელთა რასიული უპირატესობის შესახებ. ამ თეზისის მიხედვით მარტო გერმანელებს შეუძლიათ მართვა. იაპონელები, ჩინელები, ინდოელები, აფრიკელები, ესპანელები, პორტუგალელები და ამერიკელები—ისინი ყველანი დაბალ რასას ეკუთვნიან. ჰიტლერი უარჰყოფს ყველა თავისუფლებას, რომლებიც ესოდენ მახლობელი და ძვირფასია ამერიკელი ხალხისათვის. დღესავით ნათელია, რომ თუ ჰიტლერმა ომი მოიგო, ამერიკელ ხალხსაც მალე აეკრძალება ღმერთისადმი თაყვანისცემა თავისი სინდიისის მიხედვით. სინამდვილე ისეთია, რომ ჰიტლერის მექანიზებული ლეგიონები, საკონცენტრაციო ბანაკები და საფინანსო ფანდები მაშინ მთელი კაცობრიობის სიღატაკესა და დაჩაგვრას გამოიწვევდა.

ამჟამად წარმოებული ბრძოლა არის ბრძოლა მსოფლიოს ხალხთა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური თავისუფლებისათვის. ამ ბრძოლის მიზანია თანამედროვე თაობის იმ მისწრაფებათა განხორციელება, რომლებისთვისაც ჩვენი მამა-პაპა უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში იბრძოდა. ჰიტლერს განზრახული აქვს დაიმონოს სხვა ხალხები... ჰიტლერი ამჟამად ყველა დამონებულ ხალხებს აიძულებს შიმშილით დაიხოცონ.

ისევე როგორც ყველა სხვა ხალხებს, ჩვენ არ შეგვძლია დავეულოდოთ, რომ ჩვენი მეგობარი ხალხებიფოები და ხალხები ერთიმეორის მიყოლებით დაეცნენ მტრის იერიშებით. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იკისრა ამოცანა ყოველნაირი დახმარება გაუწიოს დემოკრატიებს. ჩვენ ეს დახმარება უნდა გავუწიოთ დაუყოვნებლივ და სრულიად შეუზღუდავად. ჰიტლერის სამხედრო მანქანა ძლიერია, მაგრამ დემოკრატიები უფრო ძლიერნი არიან. ჰიტლერი ვერ გაიმარჯვებს“.

(„ტრუდ“, 22/VIII).

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ ესპანეთში ფრანკოს საწინააღმდეგო შეთქმულების აღმოჩენის შესახებ

ნიუ-იორკი, 29 აგვისტო (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, რომ, როგორც ამბობენ, დაეპატიმრეს ესპანური ფალანგის ყოფილი ვიცე-მდივანი გამერო დელ კასტელიო და რამდენიმე სხვა პროგერმანულად განწყობილი ცნობილი ესპანელი; მათ ჰბრალდებათ შეთქმულების მოწყობა ფრანკოს მკვლელობის მიზნით. შეთქმულებმა აღიარეს, რომ 26 აგვისტოსათვის ამზადებდნენ იმ სასახლის აფეთქებას, რომელშიც ფრანკო ცხოვრობს. შეთქმულები მხარს უჭერდნენ ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სუნიერას, რომელიც ღერძის სახელმწიფოთა მომხრეა.

ამ უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში ეს უკვე მესამე ცნობაა ფრანკოზე თავდასხმის ცდის შესახებ.

ვი ათასი ნორვეგიელი მეზღვაური ინგლისში

ლონდონი, 29 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, კარდიფის ნავსადგურში ნორვეგიელ მეზღვაურთა კლუბის გახსნისას ნორვეგიის მემკვიდრე პრინცმა ოლაფმა აღნიშნა, რომ გერმანიის წინააღმდეგ ატლანტის ოკეანესათვის ბრძოლაში მონაწილეობს 30 ათასი მეზღვაური, რომლებიც ამჟამად ნორვეგიის დროშით ნაოსნობენ.

ინგლისის სამხედრო-საზღვაო ავიაციის უფროსის, კონტრ-ადმირალ ლისტერის მისალმება საბჭოთა საზღვაო მფრინავებისადმი

ლონდონი, 29 აგვისტო (საკდესი). ინგლისის საზღვაო ავიაციის უფროსმა, კონტრ-ადმირალმა ლისტერმა ლონდონის საბჭოთა საელჩოში შემდეგი წერილი გაჰგზავნა.

„ნება მიბოძეთ თქვენი საშუალებით პასუხი გავცე საბჭოთა საზღვაო ავიაციის მფრინავთა მომართვას ინგლისის სამხედრო-საზღვაო ავიაციის მფრინავებისადმი. ჩვენ მივესალმებით საბჭოთა საზღვაო ავიაციის წევრ ჩვენი მამაცი ამხანაგების მიერ გამოთქმულ მეგობრულ გრძნობებს. მოუთმენლად მოველით იმ დღეს, როდესაც ჩვენი ერთობლივი მეცადინეობა საშუალებას მოგვცემს უზრუნველყოთ გამარჯვება, რის მიღწევაც ასე ძლიერ გვსურს. ინგლისის სამხედრო-საზღვაო ავიაციის პირადი შემადგენლობა ასეთივე გრძნობით უპასუხებს საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ავიაციის მფრინავთა გულთბილ მისალმებასა და კეთილ სურვილებს და წარმატებასა და ბედნიერებას უსურვებს მათ.

გულწრფელად თქვენი, სამხედრო-საზღვაო ავიაციის უფროსი, საადმირალოს მე-5 ლორდი, კონტრ-ადმირალი **ა. ლისტერი**“.

ინგლისის მისია ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება

ლონდონი, 29 აგვისტო (საკდესი). რეიტერის საგენტოს ცნობით, უახლოეს ხანში ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრება ინგლისის მისია, რომელიც მეწარმეთა და ტრედ-უნიონთა წარმომადგენლებისაგან შესდგება. მისიის წევრთა უმრავლესობა დიდი კონცერნების დიოექტორები არიან. მისიის შემადგენლობაში შედის ტრედ-უნიონის ოთხი გამოჩენილი ხელმძღვანელი. მისია გაეცნობა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო საწარმოებს.

ინგლის-თურქეთის ეკონომიური ურთიერთობა

ლონდონი, 29 აგვისტო (საკდესი). რეიტერის საგენტო იუწყება, რომ ინგლისმა გერმანია შესცვალა როგორც თურქეთის მთავარმა მიმწოდებელმა. ამ წლის იანვრიდან თურქეთის იმპორტი გერმანიიდან შეადგენს თურქეთის იმპორტის მთელი ღირებულების 14,7 პროცენტს. ამავე დროს თურქეთის იმპორტა ინგლისიდან საერთო იმპორტის 22,6 პროცენტს მიაღწია.

ამერიკაში გერმანელ შაშისტთა ძირგამომთხრელ მუშაობასთან ბრძოლა

ნიუ-იორკი, 29 აგვისტო (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, არგენტინის გენერალურ პროკურორ მუნილოს განუცხადებია. როგორც კვლევა-ძიებით გამოირკვა გერმანიის საკონსულოს კუთვნილი პირნი უკანონო საქმიანობას ეწევოდნენო.

არგენტინის დიდი გაზეთი „ლა პრენსა“ გერმანიის საელჩოს ბრალად სდებს იმას, რომ დიდძალი სხვადასხვა ატაშე ჰყავს.

ასეთივე საჩივარი იმის გამო, რომ გერმანიის დიპლომატიურ მისიებს მეტად დიდი შტატები ჰყავთ, ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებიდანაც მოვიდა. ჩილის გავლენიანი გაზეთი „ლა ორა“ გერმანელ დიპლომატებს ბრალად სდებს „დიპლომატიური პრივილეგიების ბოროტად გამოყენებას“.

როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო გადმოგვცემს, გვატემალის მთავრობას გადაუწყვეტია დახუროს გერმანიის ყველა საელჩო გვატემალაში. იმავდროულად იტყობა აგრეთვე გვატემალის ყველა საკონსულო გერმანელების მიერ ოკუპირებულ საფრანგეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, ლუქსემბურგსა და ნორვეგიაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დაეპატიმრეს გერმანელი ჯაშუში კურტ ლუდვიგი, რომელიც საზღვარგარეთ გაქცევას ცდილობდა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ კურტ ლუდვიგი დამნაშავედ სცნო გერმანიისათვის ამერიკის არმიის შესახებ ინფორმაციის გადაცემაში.

ჩინეთის ელჩის დარბაზობა რუზველტთან

ვაშინგტონი, 29 აგვისტო (საკდესი). რუზველტმა დარბაზობა გაუმართა ჩინეთის ელჩ ხუშს. თეთრი სახლის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ხუშმ რუზველტს აცნობა — ჩინეთმა ოფიციალურად მოიწონა რუზველტისა და ჩერჩილის ერთობლივი დეკლარაციაო.

საფრანგეთის სომალის ბლოკადა ინგლისელთა მიერ

ნიუ-იორკი, 29 აგვისტო (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ცნობით, ინგლისის 4 სამხედრო-საზღვაო ხომალდმა, რვაგალმა შეიარაღებულმა ნავმა და თვითმფრინავმა საფრანგეთის სომალის ეფექტიანი ბლოკადა მოაწყეს. უკვე ათი დღეა, რაც ინგლისის ხომალდები ტერიტორიულ წყლებში არიან.

ჩეხთა ფარული რადიოსადგურების მუშაობა

ნიუ-იორკი, 29 აგვისტო (საკდესი). ოვერსის ნიუსის საგენტოს ცნობით, ჩეხთა წრეებში გადმოგვცემენ, რომ გესტაპო ყოველნაირად ცდილობს აღმოაჩინოს ჩეხთა არალეგალური რადიოსადგურის „ხამდარის“ ადგილსამყოფელი. ამასწინათ მან მკაცრად დაჰკმო ჩეხიისა და მორავიის განათლების მინისტრი კაპრასი იმისათვის, რომ მან ხელი ვერ შეუშალა ნაციონალ-სოციალისტების მიერ მთელი რიგი ჩეხური სკოლების დახურვას. როგორც ვიცით, გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გასცეს განკარგულება ახალი სასწავლო წლის დამდეგიდან 50 დაწყებითი ჩეხური სკოლის დახურვის შესახებ. საგენტოს განცხადებით, ლონდონში ამ ცოტა ხნის წინათ მოისმინეს ჩეხთა მეორე ფარული რადიოსადგურის გადაცემა. ამ რადიოსადგურმა გადასცა მოწოდება გლეხებისადმი — არ ჩააბარონ ნაციონალ-სოციალისტებს მარცვალი და სხვა პროდუქტები.

დე გოლის ძალები ერთი-ორად გაიზარდა

ლონდონი, 29 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, თავისუფალ ფრანგთა მოძრაობის პირველი წლისთავის გამო ბრაზავილში სიტყვა წარმოსთქვა გენერალმა დე გოლმა. მან განაცხადა, რომ ამჟამად თავისუფალი საფრანგეთის ძალების განკარგულებაშია 40 საბრძოლო ხომალდი, 100 სავაჭრო გემი, 2000 მფრინავი და 60 ათასი ჯარისკაცი, რაც თითქმის ერთიორად აღემატება იმ ძალებს, რომლებიც თავისუფალ ფრანგებს ერთი წლის წინათ მოეპოვებოდათ.

ღროვის ჩაბარება ჰოლანდიის ჯარის ბრიგადისათვის

ლონდონი, 29 აგვისტო (საკდესი). გაიმართა ჰოლანდიის ჯარის ინგლისში მყოფი ბრიგადისათვის დროშის ჩაბარების ცერემონია. ცერემონიას დაესწრო ჰოლანდიის დედოფალი ვილჰელმინა, რომელმაც იმედი გამოსთქვა, რომ დადგება დღე, როდესაც ეს ჯარი სამშობლოში დაბრუნდება, როგორც ჰოლანდიის ძლევამოსილი განმათავისუფლებელი.

მასობრივი დაპატიმრება ღავაღსა და დეაზე თავდასხმის შემდეგ

ნიუ-იორკი, 29 აგვისტო (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო გადმოგვცემს, ლავალსა და დეაზე თავდასხმის შემდეგ ვერსალში დაეპატიმრეს 300-ზე მეტი კაცი, რომლებზედაც ეჭვი მიაქვთ, რომ ისინი ოპოზიციაში უდგანან მთავრობას. დაპატიმრებულთა შორის არის რამდენიმე კაცი „მოხალისეთა“ ლეგიონიდან, რომელიც სსრ კავშირის წინააღმდეგ საომრად იგზავნება.

გაზეთ „პტი პარიზიენის“ ცნობით, პოლიციამ გამოარკვია, რომ, კოლეტს გარდა, რომელმაც თავდასხმა მოახდინა ლავალსა და დეაზე, იარაღი ჰქონდა „მოხალისეთა“ ლეგიონის კიდევ 3 წევრს. სასამართლოში კოლეტმა განაცხადა —დე გოლის მომხრე ვარო.

ამ ლეგიონის მთელი შემადგენლობა მოთავსებული ჰყავთ ბარაკებში და მას კვლავ გულდასმით ამოწმებენ პოლიციის ორგანოები.

დანიის კომპარტიის დაშლა

სტოკჰოლმი, 30 აგვისტო (საკდესი). ამ დღეებში დანიის რიკსდაგმა მიიღო კანონი დანიის კომუნისტური პარტიის დაშლის შესახებ. საქმესთან გაცნობილ წრეებში აღნიშნავენ, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა გერმანელების პირდაპირი ზემოქმედებით. ამასწინათ დანიის იუსტიციის მინისტრი პეტერსენი იძულებული გახდა გადამდგარიყო. მან უარი განაცხადა გერმანიის აგენტთა „მასალების“ საფუძველზე შეეთითხნა საქმე კომპარტიის მიერ დივერსიული აქტების მზადების შესახებ. აღნიშნავენ, რომ ეს ბინძური სამუშაო ჰიმლერის ბრძანებით შეასრულა დანიის პოლიციის უფროსმა ტუნე იაკობსონმა. მან შეითხნა ბრალდებანი, რომლებიც „საფუძვლად“ გამოიყენეს კომპარტიის დაშლისათვის. შემდეგ ტუნე იაკობსონი დაინიშნა იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე პეტერსენის ნაცვლად. აღნიშნავენ, რომ დანიის ბევრი მინისტრი იცნობდა იაკობსონის მაქინაციებს, მაგრამ სდუმდა, რადგან თბილი ადგილის დაკარგვის ეშინოდა.

თავდაცვის სახალხო ფონდი

საქართველოს მშრომელები აძლიერებენ თავდაცვის ფონდს

ყაზბეგი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს ნახევარ ტონამდე ყველი, 100 კილოგრამი ერბო, 1 ტონამდე მატყელი, 4 ტონამდე ხორცი, 60.000 მანეთზე მეტის ობლიგაციები და სხვ.

კოლმეურნეები წითელარმიელებისათვის ამზადებენ 2.000-ზე მეტ თბილ წინდასა და ხელთათმანებს. კოლმეურნეებმა იკისრეს თავდაცვის ფონდისათვის ყოველთვიურად გაიღონ ორ-ორი შრომადღის ღირებულება. ყაზბეგის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა, გარდა ორ-ორი შრომადღის საფასურისა, თავდაცვის ფონდში შეიტანეს ყველი 200 კილოგრამი, მატყელი 300 კილოგრამი, ერბო ერთი ფუთი, ხორცი 600 კილოგრამი, ამზადებენ 200 წყვილ წინდას და ხელთათმანებს. ასეთივე მდგომარეობაა კობის, ყანობის, სნოს, სიონისა და სხვა კოლმეურნეობებში. მარტო გერგეტის კოლმეურნეობის წევრებმა თავდაცვის ფონდისათვის გაიღეს მატყელი 9 ფუთი, ერბო 2 ფუთი, ყველი 4 ფუთი, ხორცი ნახევარ ტონამდე. აქვე მზადდება 200 წყვილი წინდა და ხელთათმანი. ყოველთვიურად ომის დამთავრებამდე გაიღებენ ორ-ორი შრომადღის საფასურს და სხვ.

კობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სალბიევმა ფონდში გადასცა ერთი ცხვარი, მოანგარიშე მისოსტოვმა—ერთი ღორი. ასევე ერთსულოვნად შეაქვთ ფონდში თავიანთი წვლილი რაიონის მუშა-მოსამსახურეებს. მასწავლებელმა ქალმა ზოხელმა ფონდში შეიტანა ოქროს ბეჭედი, მასწავლებელმა ქალმა მენაბდემ ერთი წყვილი ვერცხლის საყურე. მათე იესირეს ყოველთვიურად თითო დღის ხელფასის შეტანა. ვეტექიმმა თამარ ნიფიკაშვილმა შეიტანა 1000 მანეთის ობლიგაცია და იკისრა ყოველთვიურად ხუთი დღის ხელფასის გაღება. სოფლის კოოპერატივის თანამშრომელმა შოთა მალანიამ თავდაცვის ფონდში გადასცა ფულად 1000 მანეთი და 2.000 მანეთის ობლიგაციები. საერთოდ მუშა-მოსამსახურეებმა ფულის, ძვირფასი ნივთებისა და ობლიგაციების გაღების გარდა, იკისრეს ორ-ორი და მეტი დღის ხელფასის შეტანა და ხელთათმანების და წინდების დამზადება.

* * *

ლუქსემბურგი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ლუქსემბურგის კიროვის სახელობის გერმანელთა კოლმეურნეობამ თავდაცვის ფონდში გადარიცხა ფულად 70.000 მანეთი, აგრეთვე ფონდს გადასცა 10 ტონა კარტოფილი, 10 ტონა კომბოსტო და სხვა ბოსტნეული. ამის გარდა კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები ყოველთვიურად ფონდში რიცხავენ 3025 შრომადღის ნატურანაზღაურებას — 2117 კილოგრამ ხორბალს, 454 კილოგრამ ჭვავს, 1512 კილოგრამ კარტოფილს, 514 დეკალიტრ ღვინოს.

* * *

ზემო-სვანეთის მშრომელებისაგან შემოსულია თავდაცვის ფონდში 252.700 მანეთი, აქედან ფულად 34.400 მან., დანარჩენი—ობლიგაციები. მუშა-მოსამსახურეებს ყოველთვიურად შეაქვთ ორ-ორი დღის ხელფასი. ცანის კომბინატის სოციალისტებმა რეიგოფმა და ივალიანმა შეიტანეს ათასი მანეთი თითო.

* * *

ბორჩალო („კომუნისტის“ სპეც. კორ.). რაიონის მშრომელები ყოველნაირად აძლიერებენ თავდაცვის სახალხო ფონდს. სოფ. ახკულას კოლმეურნეობა „ლენინიზმის“ თავმჯდომარემ ფონდში შეიტანა ვერცხლის ქამარი, რომელიც 450 გრამს იწონის, და 3 შრომადღე; სოფ. ხოჯორნის კოლმეურნეობის წევრმა სურენ არაუშანიანმა—4 შრომადღის ღირებულება, 1 ღორი და 300 მანეთის ობლიგაციები; ამავე კოლმეურნეობის წევრმა მაკაკ ღარიბიანმა ფონდს გადასცა ერთი სკა ფუტკარი; სოფ. შაუმიანის კოლმეურნეობა „ლენინავადის“ წევრმა ოპანეზ აკოფიანმა—½ გრამი ოქრო, 111 გრამი ვერცხლი და 2 შრომადღის ღირებულება; ამავე კოლმეურნეობის წევრებმა რაფიკ გასპარიანმა—6 გრამი ოქრო; ასია გასპარიანმა—5 გრამი ოქრო; სოფ. გუდურნის კოლმეურნეობის წევრმა ალიბეგ გასიანმა—5 გრამი ოქრო, 116 გრამი ვერცხლი და 2 შრომადღის ღირებულება. მარტო სოფ. შაუმიანის კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა თავდაცვის ფონდს გადასცეს 44,5 გრამი ოქრო, 5810 გრამი ვერცხლი, ნაღდ ფულად 870 მანეთი და 29.860 მანეთის ობლიგაციები.

შუქმენიღბვის წესების დამრღვევნი დასჯილნი არიან

რიგა-ჯოლობავას სასამართლომ მიუსაჯა 2 წლით პატიმრობა.

* * *

26 აგვისტოს ბრძოლის ქუჩაზე თბილვაჭრობის მაღაზიიდან (№ 19) ქუჩაში სინათლე გამოდიოდა. მაღაზია დაკეტილი იყო. მთელი 2 საათის განმავლობაში ეძებეს მაღაზიის გამგე და მისი მოადგილე, რომ სინათლე ჩაექროთ, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს იძულებული გახდნენ ასულიყვნენ სახურავზე და გადაეჭრათ კაბელები და მაღაზია მთლიანად გამოეთიშათ განათების ქსელიდან.

გუშინ, 30 აგვისტოს, მაღაზიაში შუქშენიღბვის წესების დამრღვევი წარსდგა სტალინის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს წინაშე. იგი არის ამავე მაღაზიის გამგის მოადგილე და სექციონერი ისრაილ მიხეილის-ძე მანაშეროვი.

სასამართლომ თავმჯდომარე დ. კაბალაძის, სახალხო მსაჯულების—ზ. აღაპაშვილის და მ. ხოჭტარიანის შუამდგენლობით, დამნაშავეს — **ისრაილ მანაშეროვს 2 წლით პატიმრობა მიუსაჯა.** ბრალს სდებდა პროკურორი დ. ისაკაძე.

თბილისის სახელმწიფო შარმაცევტულ ინსტიტუტში 1941-42 სასწავლო წელს ჩარიცხულთა სია

ქართული სექტორი

აბაშიძე ვ. ა., აბრამიშვილი ქ. გ., ალექსიძე ნ. ი., ანდრიაზაშვილი ნ. ვ., არავიაშვილი ა. დ., არაბიდი მ. ი., არუთინოვა ვ. ს., ბაკურაძე ა. ი., ბარტყულაშვილი თ. ა., ბაქრაძე დ. გ., ბერიშვილი მ. ს., ბოსტანშვილი ზ. დ., ბოჩოროვი ე. თ., ბუხაიძე ნ. თ., გვიმრაძე თ. დ., გიოშვილი მ. გ., გომეი ქ. გ., გოგიბერიძე ქ. ბ., გრძელიძე ს. კ., გურასპაშვილი მ. ს., გურულიშვილი მ., გუჯიანშვილი რ. ა., დანელია მ. ა., დევდარიანი ნ. ნ., ებანინიძე ნ. ბ., ექვთიმიშვილი ვ. ვ., ვარდუკაძე ნ. მ., ვარსიმაშვილი ე. დ., ვახტანგაძე ე. ს., ვახტანგოვი ჟ. ს., ზალკანიანი რ. ა., ზედგინიძე მ. გ., ზირაქაძე ზ. ა., თაბორიძე თ. ი., თადუმაძე ნ. ე., თადუმაძე ს. ე., თექთუმანიძე მ. ა., თოდუა დ. მ., თუშურიშვილი შ. გ., კაკიაშვილი ს. ხ., კალანდია ე. გ., კარტოზია ლ. ი., კაკაბაძე გ. მ., კახიაშვილი მ. ზ., კიტეშვილი ე. ე., ლასარეიშვილი კ. ე., ლაზროვა ქ. ს., ლომიძე თ. ვ., მამისთვალოვი ქ. დ., მატუა ნ. ტ., მაღრაძე ნ. ტ., მეგრელიშვილი თ. მ., მელქაძე მ. ა., მირველაშვილი გ. კ., მიხაილიდი ვ. ა., მეკვანაძე ო. შ., მღებრიშვილი ნ. ნ., ნაზაროვა შ. მ., ნოზაძე ნ. გ., ნონიკაშვილი ქ. ნ., პირველაშვილი ლ. ა., ყენტი ნ. გ., ყენტი ო. ა., რევიშვილი გ. ა., რევიშვილი მ. კ., რუსიშვილი თ. ს., სვანიძე ბ. ს., სირაძე ო. ვ., სულაბერიძე შ. გ., ფანჩულიძე თ. ნ., ფერაძე მ. გ., ფერაძე ე. ნ. ფირცხალავა ა. ი., ფიფინოვი ს. ზ., ფონია ნ. ბ., ფოფხაძე ბ. ა., ქარსელაძე ვ. ე., ქაჩიბაია რ. ა., ყაგანიშვილი ვ. ტ., ყალიჩავა თ. ა., შალიბაშვილი თ. ე., შალუტაშვილი ე. მ., შეწირული ც. ლ., ჭანია დ. პ., ჭელიძე ვ. ვ., ჭეიფლიძე ე. ი., ჭინჭარაძე ე. ი., ჭუმბურიძე ბ. ი., ხაბელაშვილი ო. ი., ხიზანიშვილი მ. ი., ჯავახიშვილი თ. ი., ჯავაშვილი ნ. ქ., ჯალიაშვილი გ. ზ., ჯამბაზიშვილი ე. ვ., ჯანაშია ჰ. დ., ჯაღაური ნ. გ.

რუსული სექტორი.

აბაკელია ო. ი., არუთინოვა ს. ა., ასრიიეი ა. ა., გაიფანჯიანი ე. მ., გრიგორევა ვ. ა., დოცენკო მ. ე., ილგ გ. ფ., ისრაელიანცი ა. მ., კაცენშტეინი გ. ე., კონოვალოვა მ. დ., კუდრიავცევა ნ. მ., ლინევიჩი ლ. ი., ლიტვინოვა ე. მ., მიკაელიანი რ. ა., ოგანესიანი კ. ს., პოპოვა მ. გ., რუდაია ზ. პ., რუიაკი ფ. ლ., სტროკუნი ა. ი., ჩუმენკო ი. ს., შუბინა ნ. პ.

ინსტიტუტის დირექტორი
პროფ. ჟუთათელაძე

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ.—„კუზიანი კვიცი“, **ოქტომბერი**—„კაცი რესტორანიდან“, **დამკვრელი**—„გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“, **კომკავშირელი**—„მეკარე“, **სპარტაკი** — „გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“, **ლუქსემბურგის სახ.** — „მეზღვაურები“, **26 კომ. სახ.**—„მოკრივეები“, **განთიადი**—„მტრის ზურგში“, **კომინტერნი** — „დეკაბრისტები“, **ვოროშილოვის სახელობის კლუბი**—„ჩემი სიყვარული“, **მეცნიერება და ცოდნა**—„მეგობრები ბანაკიდან“, **ხაზკვების კავშირის კლუბი**—„ირსენა“, **ორჯონიკიძის სახელობის პარკი**—„ალექსანდრე ნეველი“, **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი**—„მოკრივეები“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი

აცხადებს,

რომ 1941 წ. 22 სექტემბერს, დღის 1 საათზე, საქ. მეცნიერებათა აკადემიის სხდომის დარბაზში (ძერჟინსკის ქუჩა, № 8) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების უფრ. მეცნ. თან.

ნიკოლოზ ბიჭიას-ძე რეხვიაშვილი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „მჭედლობა რაჭაში.“

ოფიციალური ოპონენტები: დოც. **გ. ჩიტაია**, ისტორიულ მეცნ. კანდ.
დოც **ვ. ბარდაველიძე**, ისტორიულ მეცნ. კანდ. **ალ. რობაქიძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სამუშაო საათებში ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქუჩა, № 8).

12420 **დირექცია**

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია და ადგილკომი იუწყებიან

თამარ გოფაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 2/IX, საღ. 6 ს. ბინიდან—შავთელის შესახ. № 3.

საქართველოს გეოლოგიურ მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი იუწყება

სერგო (თენგიზ) ვალერიანის-ძე
ბორდაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31/VIII, 1/IX 7 ს. გამოსვენება 2/IX 6 ს. ორჯონიკიძის, 40 ბ კუკიის სასაფლაოზე. 12422

გერმანიის საგარ